# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 26 იანვარი, 2013 წელი.

№16 (7143)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „სააკაშვილს ვეკითხები: რა შეემთხვა მას ზურაბ ჟვანიას დაღუპვის ღამეს?!“



3

## მარეგულირებელი კომისიის კიდევ ერთი შავ-ბნელი გარიგება

4

## ნაყოფიას ნაყოფს უთვლიან

## პრეზიდენტმა ევროსაბჭოს რაც ჩასძახა, იმანაც რეზოლუციის სახით ამოსძახა

2



## როდის ესიზმრებოდა ნაცელიტას სოხუმსა და ცხინვალში ტანკებით ჯირითი?

## რა საფრთხე იმალება ჩამოადვოკატებული პროკურორების მხრიდან

11

## ბზარი კოალიციაში

8

## არ არსებობს ოპერაცია, ჩვენთან რომ არ აკეთებდნენ

5



## კვირაძალს საკითხავი




„დათა თუთაშხიას“ გაგრძელება პოლიტპატიმრის კალმით...

6

„...თუნდ ერთი წვეთი, ოღონდ იყოს ნაღდი ქართული!“

7



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**რეზოლუციის უზუსტობანი**

# პრეზიდენტმა ევროსაბჭოს რაც ჩასძახა, იმანაც რეზოლუციის სახით ამოსძახა

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ევროპაში მედიის თავისუფლების შესახებ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში არსებულ უზუსტობაზე საუბრობს.**

**როგორც ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მუშაობაში ხელი ერთი წუთითაც არ შეშლია.**

— არც ერთი გადაცემა არ შეფერხებულა. შემოწმება „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ დღემდე გრძელდება და ამით საზოგადოებისთვის მიუღებელი არაფერი ხდება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში ამ მიმართულებით მცირე უზუსტობაა, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ევროპაში მედიის თავისუფლების შესახებ რეზოლუცია მიიღეს. რეზოლუცია ეხება მედიის თავისუფლებას ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არიან: საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი. რეზოლუციაში მოხსენიებულია საქართველოც. კერძოდ, საქართველოს რეზოლუციაში ორი — მე-20 და 21-ე პუნქტები ეთმობა.

— 20. ასამბლეა მწუხარებას გამოთქვამს, რომ ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მთავრობამ თავიანთი ქვეყნის „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ გაათავისუფლა ხელმძღვანელობა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მაუწყებელზე თავიანთი პოლიტიკური ორიენტაციის გატარების მიზნით. ამასთან, შემაშფოთებელია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს შესთავაზა თავის კუთვნილ „მეცხრე არხთან“ გაერთიანება, რომლის მფლობელიც მისი მეუღლეა და შეცვალა საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“.

— 21. ასამბლეა შეშფოთებას გამოხატავს საქართველოს „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ განხორციელებულ მოულოდნელი ფინანსური შემოწმების გამო, რომელსაც მაღალი თანამდებობის პირებისგან აგრესიული ხასიათის პოლიტიკური განცხადებები მოჰყვა, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატანი სადავო ცვლილების პარალელურად. ამ ნაბიჯებს წინ უძღოდა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებები საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და „მეცხრე არხის“ გაერთიანების შესახებ, რომლის მფლობელიც მისი მეუღლეა, ასევე, მფლობელების ცვლილებას საქართველოს კერძო მედიაში, — აღნიშნულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში.



**ვითარება**

# რამდენად დიდია ფალსიფიცირების რისკი?

## უკვე გადაწყვეტილი საქმის დეტალებს 4 თებერვალს გაახმაურებენ

**ქართული დელეგაცია ონიშჩენკოს კბილს 4 თებერვალს მოუსინჯავს. თუმცა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთში ქართული პროდუქციის დაბრუნება გადაწყვეტილია. დარჩენილია მხოლოდ ტექნიკური საკითხები, რომელთა მოგვარებასაც დიდი დრო არ დასჭირდება.**

„ორი შესაძლო თარიღიდან — 28 იანვრიდან და 4 თებერვლიდან — ჩვენ არჩევანი 4 თებერვალზე შევაჩერეთ“, — განაცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ. მისივე თქმით, აღნიშნული თარიღი რუსულ მხარეს ქართულმა დელეგაციამ შესთავაზა, რათა „შესაძლო შეუსაბამობების“ გადაჭრა მოასწრონ და ეს თარიღი რუსულ მხარესაც ხელს აძლევს.

ონიშჩენკომ უკვე მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა ქართულ მხარეს სავიზო და დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინონ.

ამასთან, რუსეთის მთავარმა სანიტარმა არ გამორიცხა, რომ საქართველოს თავადაც ეწვიოს მას შემდეგ, რაც 4 თებერვალს მოსკოვში რუსულ-ქართული კონსულტაციები გაიმართება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი „როსპოტრებნადზორს“ 7-კაციანი დელეგაციის სია გადაუგზავნა, რომლებიც რუსულ მხარესთან ქართული ღვინისა და მინერალური წყლის დაბრუნების საკითხებზე იმსჯელებენ. დელეგაციას ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი უხელმძღვანელებს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დელეგაციაში იმ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები შევიდნენ, რომლებიც პროდუქციის ხარისხზე აგებენ პასუხს. რა თქმა უნდა, მათ შორის არიან ღვინის ეროვნული სააგენტოს, ღვინის ასოციაციის თავმჯდომარე და სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელები. რუსულ მხარესთან ემბარგოს მოხსნის საკითხებზე იმსჯელებენ ასევე ფიტოსანიტარიული კარანტინის და ხილისა და ბოსტნეულის სააგენტოს პირველი პირები.

ქართული მხარე მზად არის, ისაუბროს ქართული ღვინის ხარისხზე და იმაზე, რომ იგი უვნებელია რუსეთის ფედერაციის მომხმარებლისთვის. დელეგაციის ხელმძღვანელის, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ლევან დავითაშვილმა განცხადებით, პოლიტიკური ბარიერი არ არსებობს, არის მხოლოდ ტექნიკური საკითხები, რომელიც უნდა გადაიჭრას. რამდენადაც ღვინის ეროვნული სააგენტო პასუხს აგებს ხარისხზე, თუკი ვინმესთან შეიძლება განხილული იყოს ტექნიკური საკითხი, ეს არის სწორედ ღვინის სააგენტო.

**„პირველ რიგში, ხარისხის კონტროლის სისტემა უნდა მივაწოდოთ და ისინი ამას უნდა გაეცნონ. მათივე**



**განცხადებებიდან გამომდინარე, შემდეგი ეტაპი შეიძლება იყოს რუსი ექსპერტების ჩამოსვლა. შემდეგ კი ჩვენ ველოდებით დადებით დასკვნებს, რადგან ყველაზე მკაცრ მოთხოვნებსაც ვაკმაყოფილებთ“,** — განაცხადა დავითაშვილმა.

რაც შეეხება ფალსიფიკაციის საფრთხეს, რომელიც შეიძლება რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნებას მოჰყვეს, ლევან დავითაშვილი რადიოინტერვიუში აცხადებს, რომ ასეთი რისკები, სამწუხაროდ, არსებობს.

„ჩვენ ველოდებით ამ რისკებს. არსებობს რამდენიმე გზა ფალსიფიკაციისგან დასაცავად, თუმცა სრულად დაცვა შეუძლებელია. ამას მხოლოდ სააგენტო ვერ შეებრძოლება. აქ საჭიროა კომპლექსური მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან“, — აღნიშნავს დავითაშვილი.

მისივე აზრით, ფალსიფიკაციისგან დაცვაში დიდი წვლილი შეიძლება „საქპატენტმაც“ შეიტანოს, თუ ქართული ღვინის დაბრუნების პარალელურად მოხდება ქართული დასახელების რეგისტრაცია, რაც იურიდიული საფუძველი გახდება ფალსიფიკატორებთან ბრძოლისა.

**ეკა ბაქრაძე**

**ვინ დაიწყო ომი?**

# როდის ესიზმრებოდა ნაცელიტას სოხუმსა და ცხინვალში ტანკებით ჯირითი?

**საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მტკიცებით, ყოფილ ხელისუფლებას ცხინვალსა და სოხუმში შესვლის ფიქრი და აზრი ჯერ კიდევ 2004 წელს ჰქონდა. ხაბურძანიამ „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებასთან ურთიერთობებზე და აგვისტოს ომზე რადიო „პალიტრის“ გადაცემა „რეზიუმეში“ ისაუბრა.**

— 2004 წელი, თუ 2003 წლის დეკემბერი იყო, ზუსტად არ მახსოვს, ვანო მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანია, დამირეკა დ მთხოვა, გადავსულიყავი მასთან. გადავედი — რაღაც საუბარი გაიმართა ჩვენს შორის, უკვე ვიცოდი, რომ ჩემს ადგილმონაცვლეს ეძებდნენ და მითხრა, იუსტიციის მინისტრად თუ წახვალო. მე ვუთხარი, თუ უშიშროების მინისტრად არ მენდობით, იუსტიციის მინისტრი ნაკლები გგონია-მეთქი? რატომღაც ყველას ეგონა, რომ უშიშროების სამინისტროში ჯადოსნური ჯოხი იდო და ამ ჯოხს უდიდესი ძალა და შესაძლებლობა ჰქონდა, სამწუხაროდ — არა. მაშინ ვუთხარი, ვანო, რა გარს მივლი, პირდაპირ მითხარი, რა გაინტერესებს-მეთქი. მერე კონტროლის პალატის თავმჯდომარეობა შემომთავაზა. მაშინ სულხან მოლაშვილი იყო ამ თანამდებობაზე და კონსტიტუციური ვადა ჯერ კიდევ ჰქონდა. მე ვუთხარი, რომ ეს შემოთავაზება ელემენტარულად არაკაცურია-მეთქი. სამწუხაროდ, მაშინ ვერ ვგრძნობდი, რომ ეს ტერმინი მათთვის გაუგებარი იყო. მერე უცებ მკითხა: —უცებ სოხუმში ან ცხინვალში რომ შევიჭრათ, თუ ჯარს მოვამზადებთ, რა მოხდებაო? მე დაუფიქრებლად ვუპასუხე, რომ რუსები თბილისს დაბომბავენ-მეთქი. აუტყდა ხარხარი და მითხრა, არ გეწყინოსო და შენნაირი მინისტრები რომ ჰყავდა შევარდნაძეს, იმიტომ ვზივარ აქ მე ახლაო, — განაცხადა ხაბურძანიამ.



აღნიშნულის კონტექსტში, უშიშროების ექსმინისტრი განმარტავს, რომ ყოფილ ხელისუფლებას ცხინვალსა და სოხუმში შესვლის ფიქრი და აზრი ჰქონდა.

— 2008 წლის აგვისტოში მინდოდა ვანოსთვის თვალებში ჩამეხედა. ის არ გამოჩენილა, ვიდრე რუსებმა უკან დახევა არ დაიწყეს. მხოლოდ მერე გამოჩნდა და ისე წარმოაჩინა ეს ყველაფერი, თითქოს მათი ზეწოლით ხდებოდა უკან დახევა. ფაქტია, რომ ფიქრი და აზრი ამის შესახებ ჰქონდათ. თუ რეაქტიული ჭურვების ზალპის ამსახველ 2008 წლის 7 აგვისტოს კადრებს გავიხსენებთ და ვანოს ფიქრებს შევადარებთ, დასკვნას გავაკეთებთ. მე არ მინდა, პირდაპირ დასკვნა გავაკეთო — ომი, რა თქმა უნდა, დიდი ხნით ადრე დაიწყო, მაგრამ კონკრეტული სამხედრო მოქმედებები ვინც დაიწყო, ეს გამოჩნდა 7 აგვისტოს, — აღნიშნა ხაბურძანიამ.

**მინისტრი მუშტებზე იყურებოდა**

# სამხედრო მოსამსახურე ვაჟა ხუცურაული პირადად ბაჩო ახალაიამ სცემაო

**მუხროვანის ამბოხთან დაკავშირებით დაკავებული სამხედრო მოსამსახურე ვაჟა ხუცურაული სასტიკად პირადად ბაჩო ახალაიამ სცემა. ამის შესახებ განცხადება ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ ხელმძღვანელმა ელისო კილაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას გააკეთა.**

კილაძე აცხადებს, რომ ამჟამად პოლიტპატიმრის სტატუსით პატიმრობიდან გათავისუფლებული ხუცურაული ორშაბათს პროკურატურას მიმართავს და ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს.

კილაძის თქმით, მუხროვანის ამბოხის შემდეგ შს სამინისტროდან გაათავისუფლეს ვაჟა ხუცურაულის ძმაც ლევან ხუცურაული. კილაძე მოუწოდებს შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ ლევან ხუცურაული თანამდებობაზე აღადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასამართლოს მიმართავს.

კილაძესთან ერთად პრესკონფერენციას გუშინ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ბადრი ქველიძე და ზვიად ბერაძე ესწრებოდნენ. მათი თქმით, ისინი 26 მაისის მოვლენების გამო იყვნენ დაკავებული. როგორც ბადრი ქველიძე აცხადებს, ის მარნეულში დააკავეს და გათავისუფლების სანაცვლოდ სთავაზობდნენ „ქართულ ოცნებასთან“ ყოფილი ხელისუფლების სასარგებლოდ მუშაობას.

ზვიად ბერაძე კი სასჯელაღსრულების სამინისტროს მიმართავს და ორი პატიმრის — დავით ჭოლაკავასა და გიგა დოლაბერიძის საქმის ხელახლა გადახედვას სთხოვს.

**ინტერპრესი**

**გაუბედეს!**

# აკი ჩოჩელს ვერ გაუბედავენო?!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი დააკავა.**

**როგორც საგამოძიებო სამსახურში აცხადებენ, მას გამოძიება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობაში ადანაშაულებს. კერძოდ, გამოძიების ინფორმაციით, ცეზარ ჩოჩელი გუბერნატორობისას უკანონოდ მონაწილეობდა შპს „ნიუ ენერჯის“ საქმიანობაში.**

— იგი მფარველობას უწევდა აღნიშნულ შპს-ს და ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებაში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ იგი უკანონოდ იღებდა დიდი ოდენობით შემოსავლებს და ფულის გათეთრების გზით აძლევდა კანონიერ სახეს. 2010 წლის ზაფხულში ცეზარ ჩოჩელის მოთხოვნის საფუძველზე შპს „ნიუ ენერჯიმ“ ჩოგბურთის და კალათბურთის მოედნების მოსაწყობად თურქეთიდან ჩამოიტანა 61 845 ლარის ღირებულების საჭირო ინვენტარი და თბილისში, კერძოდ, სოფელ დიღომში ცეზარ ჩოჩელის მეუღლის სვეტლანა ჩოჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაამონტაჟა. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე და 194-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, — აცხადებენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.



**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



**ბოლო დროს ზურაბ ჟვანიას დაღუპვის თემა კვლავ გააქტიურდა. თავდაპირველად თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გააოცა საზოგადოება, როცა მოულოდნელად გამოაცხადა, ზურაბ ჟვანია არ მოუკლავთო. ეს მაშინ, როცა ყველას მოლოდინი ჰქონდა, რომ იმ საბედისწერო ღამის შესახებ მისგან მაინც შეიტყობდნენ სიმართლეს. ოქრუაშვილის განცხადებას უმალვე მოჰყვა ჟვანიას ქვრივის ნინო ქადაგიძის კომენტარი, რომ ოქრუაშვილი ყოველთვის ლაპარაკობს იმას, რაც მას აწყობს.**

**ამჯერად ჟვანიას თემა სააკაშვილისთვისაც გააქტიურდა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას სიკვდილი მისთვის მძიმე დანაკარგი იყო. ამის შესახებ პრეზიდენტმა „პირველ რადიოსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ჟვანიას საქმის ხელახლა გამოძიების ფაქტის კომენტირებისას განაცხადა.**

**სააკაშვილის თქმით, რაც უნდათ, ის გამოიძიონ. ზურა ჟვანია მისი ახლო მეგობარი იყო და მან არც კი იცის, უფრო მეტად ახლო მეგობარი ვინ ჰყავდა ზურა ჟვანიას, ან თავად თუ ჰყავდა მასზე უფრო ახლო მეგობარი.**

**„მისი სიკვდილი ჩემთვის მძიმე დანაკარგი იყო. თუ ვინმეს ამ უბედური შემთხვევის ყველა დეტალის გარკვევა უნდოდა, ეს მე ვიყავი. ამიტომ გავარკვიეთ კიდეც. მე ვიყავი პირადად კონტაქტში აშშ-ის ადმინისტრაციასთან, მე ჩამოვაყვანინე FBI-ის ჯგუფი, რადგან ჩვენ არ გვქონდა შესაბამისი აპარატურა. ამერიკელებმა ყველაფერი გამოიძიეს და ყველაფერი დადეს. საერთოდ რაზე ლაპარაკობენ, მე არ მესმის. ეს ხალხი მართლა ისეთი წარმოდგენებით მოვიდა, რომ ბნელ ოთახებში დაიწყო შავი კატის ძებნა, რომელიც იქ არ არის. ამასობაში მართლა ცუდი რაღაცები ხდება და ბევრი რამ არის გამოსაძიებელი. ვინც არ უნდა გაეშვათ, ის გაუშვეს გარეთ“, — განაცხადა სააკაშვილმა.**

**For.ge ზურაბ ჟვანიას მეგობარს ხათუნა ხოფერიას ესაუბრა.**

# „სააკაშვილს ვეკითხები: რა შეემთხვა მას ზურაბ ჟვანიას დაღუპვის ღამეს?!“

— სააკაშვილის მიერ ზურაბ ჟვანიას თემის ბოლო დროს გააქტიურების შესახებ ჩემი შეფასება ასეთია -ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. თუ ქვეყნის პრეზიდენტი მართლაც დაინტერესებული იყო, რომ ამდენი ხნის მანძილზე ეს საქმე გამოძიებულიყო, მაშინ შვიდი წლის თავზე არ მოუწევდა პროკურატურას დასკვნის დადება. ეს ცოტა უცნაურია. როგორ წარმოგიდგენიათ, თუ პრეზიდენტ სააკაშვილს ამ საქმის გამოძიება აინტერესებდა, ვინ შეძლო და ვინ გაუბედა, რომ ჟვანიას საქმე შეფერხებულიყო?! ადეიშვილმა?!

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გამო პრეზიდენტის დიდ დანაკლისს რაც შეეხება, ჩემთვის ძნელი სათქმელია, თუ რა იყო ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება მიხეილ სააკაშვილისთვის. მე კარგად მახსოვს ის დღეები, ისიც მახსოვს, როცა მიშა აღელვებული, აფორიაქებული იყო. რაც მთავარია, იგი იყო არაადეკვატური. ის მოდიოდა, მერე გარკვეულ წუთებში უკან ბრუნდებოდა. დილის ხუთი საათი თუ ოთხის ნახევარი იყო, ზუსტად არ მახსოვს, როცა სამების ტაძარში დაკრძალვის წინა ღამეს ჩვენ, მისი უახლოესი სამეგობრო, ზურას გუნდი, ვუთევდით ღამეს მიცვალებულს. უცებ თქვეს, რატომღაც შუაღამეს მოდის სააკაშვილიო. მართლაც იგი მოვიდა და მას თან ახლდნენ ირაკლი ოქრუაშვილი, ვანო მერაბიშვილი. რამდენიმე წუთი იდგა, მერე ისევ გაიქცა და სადღაც წავიდა. მიშას მოსვლისთვის მიცვალებულს დაკრძალვის დღეს გადააფარეს სუდარა, ეტყობა, სააკაშვილს რომ არ დაენახა. ანუ, რაღაცნაირად იგი ძალიან არაადეკვატური იყო იმ დღეებში.

**— სანამ სააკაშვილი სტრასბურგში ჩავიდოდა, მანამდეც გახმიანდა, რომ მას აუცილებლად მოუწევდა პასუხის გაცემა ამ თემაზე და კითხვას დაუსვამდნენ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით.**

— ამ კითხვაზე პასუხი მართლაც გასაცემია, თუ რა შეემთხვა თავად მიხეილ სააკაშვილს იმ ღამეს. მე მასთან ეს შეკითხვა მაქვს. რა მოხდა იმ ღამეს, როდესაც ბარამიძეს შეატყობინეს, რომ ჟვანია გარდაცვლილი იყო. გზაზე მიდიოდა ბარამიძე და ამ დროს რატომ დაირეკა მასთან ზარი და ბარამიძეს რატომ მოუხდა ჯერ სააკაშვილთან მისვლა.

**— ანუ ეჭვობთ, რომ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის დროს სააკაშვილიც იქ იყო?**

— მე არაფერს ვეჭვობ, არანაირი მასალები არ მაქვს. მე მაქვს ის ინფორმაცია, რომელსაც რაღაცნაირად ვგებულობდით, რასაც ვიღაცისგან ვიგებდით. ზურას ოჯახს, გარემოცვას ერთმანეთში გვქონდა მიმოსვლა და აზრების გაზიარება. მე ფაქტები არ მაქვს და ვერავის ვერაფერს ვერ დავაბრალებ, მათ შორის, ვერც სააკაშვილს, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ეს განცხადება, რომ თურმე ძალიან უნდოდა ამ საქმის გამოძიება და ვიღაც ჩამოუყვანია, არადამაჯერებელია. რა მერე? თუ ძალიან უნდოდა, მაშინ დაემთავრებინა კიდეც, ვერ შეძლო ამ საქმის გამოძიება?

**— იგი აცხადებს, რომ ამერიკელებმა ყველაფერი გამოიძიეს და დასკვნა დადეს. ამასთან, ეს ყველაფერი ბნელ ოთახში შავი კატის ძებნას შეადარა. ისიც დაამატა, ჩემთვის ეს რთული გადასატანია, მაგრამ, რაც უნდათ, ეძებონ და ჩხრიკონო. ანუ სააკაშვილი ხაზს უსვამს, რომ ჟვანიას შესახებ FBI-ის დასკვნა უკვე დაიდო.**

— არა, გამოძიება არ არის დამთავრებული, პროკურატურის დასკვნა არ არსებობს ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით. ჩვენ არანაირად არ ვაჩქარებთ და არაფერს არ ვეუბნებით გამოძიებას, რათა ამ საქმესთან დაკავშირებით ფორსირებულად მოხდეს რაიმე. ჩვენ ახალ ხელისუფლებას ვენდობით და ზუსტად ვიცით, რომ დღეს იქნება თუ ერთი წლის შემდეგ, ზურას საქმეს ნათელი მოეფინება. რატომ დასჭირდა თავად სააკაშვილს ამ სიტუაციაში, ამ საკითხის ფორსირება და წინა პლანზე წამოწევა, როდესაც შვიდი წლის მანძილზე საერთოდ არ დაინტერესებულა ამ თემით? — საინტერესოა.

მინდა გითხრათ, რომ ბოლო წლებია, ზურას საფლავზეც კი არ მისულა, არც მის დაბადებისა და გარდაცვალების დღეებზე უნახავთ. ამიტომ ეს ყველაფერი ჩემში ეჭვს იწვევს.

**— სხვათა შორის, ამას წინათ ბადრი პატარკაციშვილის სახლში კონფიდენციალური შეკრების ფარული ჩანაწერები დაიდო, სადაც სააკაშვილი ამავეს იმეორებს, ჟვანია რომ „ჩაფლავდეს“, მე დაღუპული ვარო. ეს იმდროინდელი ჩანაწერია, როცა ზურაბ ჟვანია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ამ საუბარს სუფრის მეორე მხარეს თავადაც ისმენდა. იქ სააკაშვილი არ მალავდა, რომ მასა და ჟვანიას კარგი ურთიერთობა არ ჰქონდათ, ზოგჯერ კამათიც მოსდიოდათ, მაგრამ ჟვანიას გარეშე იგი დაიღუპებოდა და ასევე იყო მის გარეშე ზურაბ ჟვანიაც.**

— ყველა ადამიანის ტვინში ხდება ხოლმე გამონათება. ალბათ, იმ მომენტში მიშას ტვინშიც მოხდა გამონათება და მან თქვა ის რეალობა, რაც უნდა ეთქვა, რადგან მისი ხელისუფლებაში მოსვლის ცხრა წლის თავზე და ზურას გარდაცვალების შვიდი წლის თავზე შეგვიძლია დადასტურებით ვთქვათ, რომ ის, რასაც მიშა იმ ჩანაწერებში ამბობს, სიმართლე იყო. ზურაბ ჟვანიას გარეშე მიშა ნამდვილად დაიღუპებოდა, ოღონდ კონკრეტულ სიტუაციაში რა მოხდა, რას შეეწირა და რის გამო მოკლეს ზურაბ ჟვანია, ეს აბსოლუტურად სხვა თემაა. თორემ, მიშამ კი არა, ზოგადად ყველამ კარგად იცოდა, რომ ქვეყნის მართვა იმ სიტუაციაში, რასაც სახელმწიფოებრივად მართვა ჰქვია, სახელმწიფოებრივი აზროვნება და ცოდნა სჭირდება, რაც ჟვანიას გარდა არავის ჰქონდა. იმ კონკრეტულ მომენტში მიშამ ეს ჭეშმარიტება აღიარა. უბრალოდ, ისაა საინტერესო, ამის შემდეგ რა მოხდა?

**— ზურაბ ჟვანია თქვენი მეგობარი იყო, თუმცა სააკაშვილი დღეს კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ ზურაბ ჟვანია მისი ახლო მეგობარი იყო და არ იცის, უფრო ახლო მეგობარი ვინ ჰყავდა. თქვენ უკეთ გეცოდინებათ, რეალურად ასეთი ახლო მეგობრები იყვნენ სააკაშვილი და ჟვანია, თუ ეს ჰიპერბოლიზებულია სააკაშვილის მხრიდან?**



— იცით, რა არის? ზურას ძალიან ბევრი ახლო მეგობარი ჰყავდა და თავად მიშაზე ბევრად უფრო ახლო მეგობრებიც. ზურას უცნაური თვისება ჰქონდა, სკოლიდან მოყოლებული, ინსტიტუტის მეგობრებით დამთავრებული, არავინ ჰყავდა დაკარგული. რაც არ უნდა მომხდარიყო, ამ ადამიანებს მაინც ინარჩუნებდა. თუნდაც ეს მაგალითი. რა ნაწყენიც არ უნდა ყოფილიყო შევარდნაძეზე, როდესაც მისი მეუღლე გარდაიცვალა, ზურა პანაშვიდებზე იდგა. მას ვალდებულების, კაცობის ქცევები შიგნიდან მოსდიოდა. იმის მტკიცება, თითქოს, ზურას მიშაზე ახლობელი არავინ ჰყავდა, ცოტა სასაცილოა. სააკაშვილს თავად რამდენად ჰყავდა ზურაზე ახლობელი მეგობარი, ვერ გეტყვით. საერთოდ, სჭირდება სააკაშვილს მეგობარი? სააკაშვილს ჰყავს პარტნიორები, მე მგონი, სააკაშვილს მეგობრები არ ჰყავს.

**— თქვენ სააკაშვილთან კითხვა გაქვთ, თუ რა შეემთხვა მას იმ ღამეს. უფრო რომ გაშალოთ ეს თემა, რა იგულისხმეთ?**

— იმ ღამეს მას რაღაც შეემთხვა. მე არ ვიცი, ავარიაში მოხვდა თუ რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბარამიძე, რომელიც უნდა მისულიყო ჟვანიას ცხედართან, როცა მას ეს ტრაგიკული ამბავი შეატყობინეს, გზიდან მოხსნეს და დროის გარკვეული შუალედი, ერთი თუ ორი საათი, გაატარა სააკაშვილთან ერთად. ვიღაცამ ამაზე პასუხი ხომ უნდა გაგვცეს, რა შეემთხვა სააკაშვილს? ეს არის ფაქტი, ეს იცის ძალიან ბევრმა ადამიანმა, მათ შორის, თვითონ გია ბარამიძემაც. მინდა, ხაზი გაუსვათ, მაინცდამაინც 2013 წლის 23 იანვარს რატომ გაახსენდა სააკაშვილს ზურაბ ჟვანია, მისი გარდაცვალების და გამოძიების ფაქტები?!

**— მიხეილ სააკაშვილის არგუმენტი ის იქნება, ამის შესახებ ჟურნალისტმა კითხვა დამისვა და მეც ვუპასუხეო.**

— გასაგებია, მაგრამ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შესახებ მიშას კითხვას უსვამდა თავად ჟვანიას ოჯახი, მისი გარემოცვა, საქართველოს მოსახლეობა და მას არასდროს არ გაუცია პასუხი. ამ საკითხის ასე დაკონკრეტება, სიყვარულის გამოხატვა და ამ თემის ფორსირებულად წინა პლანზე წამოწევა დღეს რაში დასჭირდა?

**— ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც თავის დროზე აცხადებდა, რომ ჟვანიას საქმეს ფარდას ახდიდა, სულ ახლახან დააკონკრეტა, რომ ზურაბ ჟვანია თურმე არ მოუკლავთ. სხვათა შორის, ამ საკითხს საფრანგეთიდან გამოეხმაურა სალომე ზურაბიშვილიც. მისი თქმით, თუ ოქრუაშვილი ბოლოს გვეტყვის, რომ ჟვანია განზრახ არ იქნა მოკლული და, ალბათ, შემოაკვდათ, არ იქნება გასაკვირი.**

— რა გითხრათ, ირაკლიმ ძალიან ბევრი სტრესი გადაიტანა და არ ვიცი, არაადეკვატურია თუ არა ამ ვითარებაში. ზოგადად, ადამიანები ჩვენს მიერ ნათქვამ სიტყვებს უნდა ვუფრთხილდებოდეთ. არ უნდა ვაძლევდეთ საზოგადოებას იმის საშუალებას, რომ ხალხს კითხვა გაუჩნდეს, დებილები ხომ არ ვგონივართო? ირაკლი ოქრუაშვილის ბოლო განცხადებამ ასეთი კითხვა გააჩინა: მას რა ჰგონია, სკლეროზი მჭირს თუ ამნეზია დამემართა? პირადად ჩემს გარშემო ძალიან ბევრ ადამიანს გაუჩნდა ასეთი აზრი. მას ჰგონია, დაგვავიწყდა სულ რაღაც რამდენიმე წლის წინანდელი ამბავი?

**— მაშინ რას ემსახურებოდა ოქრუაშვილის ეს განცხადება?**

— არ ვიცი, ქართულ პოლიტიკაში უცნაურად ოდიოზური ფიგურები ბრუნდებიან, მათ შორის, ირაკლი ოქრუაშვილიც, რაც ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო დღევანდელი ხელისუფლების საერთოსახალხო მხარდაჭერის ფონზე. კულუარებში რა ხდება, ვინ ვის რაზე ურიგდება და, ზოგადად, ვინ ვის აბრუნებს, რომელი პოლიტიკური ძალა ვის სწევს წინ, ვის სწევს უკან, ვის ათეთრებს და ვის აშავებს, ამას ნაციონალები აკეთებენ, თუ დღევანდელი ხელისუფლება, ეს მე არ ვიცი. მე არ ვტრიალებ ამ კულუარებში, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობს კულუარები და ამ კულუარებში რაღაც ხდება, რაც შეიძლება აბსოლუტურად არ იყოს მისაღები ბევრი ადამიანისთვის.

**მანანა ნოზაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com




# მარეგულირებელი კომისიის კიდევ ერთი შავ-ბნელი გარიგება

**ეს მერამდენედ!**

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ კომუნიკაციის სფეროში არსებულ კიდევ ერთ დარღვევაზე ალაპარაკდა. „აფბას“ წარმომადგენლების თქმით, მათი ორგანიზაცია აგრძელებს კომუნიკაციების სფეროს შესწავლას და იმ პრობლემური საკითხების გამოვლენას, რომლებიც დარგის განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. კვლევის ამ ეტაპზე კი „აფბა“ საზოგადოებას წარმოუდგენს პორტაბელობის სისტემის დანერგვის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და იმ უხეშ გადაცდომებს, რაც, მათი თქმით, ამ პროცესს ახლდა და დღემდე ახლავს.**

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინიციატივით, მობილური კომუნიკაციების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, 2011 წლის 15 თებერვლიდან ნომრის პორტაბელურობის მომსახურება დაინერგა. ნომრის პორტაბელურობის დანერგვამდე, ოპერატორის შეცვლისას, აბონენტებს ნომრის შეცვლა უწევდათ, რაც, „აფბას“ განმარტებით, კონკურენციის შემაფერხებელი ერთ-ერთი ბარიერი იყო.

„აფბას“ პრეზიდენტი **ნოდარ ჭიჭინაძე** ამბობს, რომ თავისთავად პორტაბელურობის მომსახურებასთან საპრეტენზიო არაფერი აქვს, რადგან ის კონკურენციის ხელშემწყობი ფაქტორია, მაგრამ კითხვებს ბადებს ის ფორმა, რომლითაც ამ სერვისის დანერგვა მოხდა და ის მეთოდიც, თუ როგორ გაიმარჯვა მარეგულირებელი კომისიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში კონკრეტულმა კომპანიამ.

**„როგორც აღინიშნა, კომუნიკაციების სფეროში ეს მომსახურება უკვე დაახლოებით ორი წელია არსებობს. 2010 წლის 30 ივლისს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ამასთან დაკავშირებით კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც სამმა კომპანიამ — „კეთ ენდ კეთ მედია“, „განთექი“ და „მედიაპრო ჯორჯიამ“ მიიღო მონაწილეობა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსიდან თავდაპირველად მოიხსნა „კეთ ენდ კეთ მედია“ რადგანაც მას აღნიშნულ სფეროში გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ ჰქონდა.**

**კონკურსს მეორე ეტაპიდან გამოეთიშა უმსხვილესი თურქული კომპანია „განთექი“, რომელსაც საქმიანობის 24-წლიანი გამოცდილება აქვს. აგრეთვე მნიშვნელოვანია ის, რომ თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ფირმას ზურგს უმაგრებდა ასევე უმსხვილესი საკომუნიკაციო კომპანია „ტელეკორდია“, რომელიც კომუნიკაციების კომისიამ „განთექთან“ დაკავშირებულ პირად არ ჩათვალა და მისი გარანტიებიც არ მიიღო. და, ბოლოს, ყველაზე მთავარი, რაც ამ საკითხს უკავშირდება, არის ის გადასახადი, რომელსაც ქართულ საკომუნიკაციო კომპანიებს ამ ტენდერში გამარჯვებული კომპანია „მედიაპრო ჯორჯია“ ახდევინებს“,** — აცხადებს ნოდარ ჭიჭინაძე.

მისი თქმით, ტენდერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო ის სატარიფო პოლიტიკა, რომელსაც ეს ფირმები ქართულ საკომუნიკაციო კომპანიებს შეთავაზებდნენ. ჭიჭინაძე ამბობს, რომ ტენდერში გაიმარჯვა კომპანიამ, რომელიც როგორც მობილურ, ასევე ფიქსირებულ სატელეფონო კომპანიებს აბსოლუტურად არალოგიკურ გადასახადს ახდევინებს.

ტენდერში მონაწილე კომპანიებს სატარიფო პოლიტიკასა და საბოლოოდ კონკურსში გამარჯვებული ფირმის მიერ შემოთავაზებულ ტარიფებზე უფრო დეტალურად „აფბას“ წარმომადგენელი მერაბ ჯანიაშვილი საუბრობს. მისი თქმით, **„მედიაპრო ჯორჯიას“ ტენდერში ჰქონდა ასეთი წინადადება, რომ ნებისმიერ აბონენტზე, რომელიც მობილური, ან ფიქსირებული ქსელის ოპერატორს ჰყავს, კომპანიებს 0.38 ევრო უნდა გადაეხადათ. კომპანია „განთექი“ კი აცხადებდა, რომ საკომუნიკაციო კომპანიებს მხოლოდ პორტირებულ ნომრებზე გადაახდევინებდა გადასახადს. ამასთანავე, თუ 85 ათასამდე პორტირებული ნომერი იქნებოდა, კომპანიები წელიწადში 660 000 ევროს გადაიხდიდნენ, 85-დან 150 ათასამდე პორტირებული აბონენტის შემთხვევაში თითოეულ პორტირებულ ნომერზე ამ გადასახადს წელიწადში ოთხი ევრო ემატებოდა, ხოლო 150 ათასზე მეტი ნომრის შემთხვევაში, ყოველ დამატებით პორტირებულ ნომერზე წელიწადში ემატებოდა 2 ევრო. აქვე ჯანიაშვილი განმარტავს, რომ მთლიანობაში 2011 წლის თებერვლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე 110 ათასი აბონენტის პორტირება მოხდა. ამიტომ, თუ იმ ფასებით ვიმსჯელებთ, რასაც მარეგულირებელ კომისიას „განთექი“ სთავაზობდა, სატელეფონო კომპანიებს მისთვის 660 ათასი ევროს გადახდა მოუწევდათ.**

**„ამ კომპანიის მიერ სატენდერო წინადადებაში ჩადებული გადასახადის მაქსიმუმიც რომ ავიღოთ, ანუ 900 000 ევრო, საბოლოო ჯამში ეს ორ მილიონ ლარზე მეტი არ გამოდიოდა მაშინ, როდესაც „მედიაპრო ჯორჯიამ“ მხოლოდ 2011 წელს დაახლოებით 6.5 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შემდეგ მან გადასახადი ოდნავ შეამცირა — 38 ევროცენტიდან 32 ევროცენტამდე, „მედიაპრო ჯორჯიას“ ყოველწლიური შემოსავალი მაინც 5 მლნ ლარს აღემატება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ კომპანიას სულ სამი თანამშრომელი ჰყავს და მისი ოფისი ორი ოთახისგან შედგება“,** — ამბობს მერაბ ჯანიაშვილი.

მისი თქმით, ტენდერში „განთექის“ გამარჯვების შემთხვევაში ფიჭურ და ფიქსირებულ სატელეფონო კომპანიებს დაახლოებით ოთხჯერ ნაკლების გადახდა მოუწევდათ. ამასთანავე, ჯანიაშვილი განმარტავს, რომ როდესაც კომპანია გარკვეულ გადასახადს იხდის, საზოგადოებამ არ უნდა იფიქროს, რომ ეს მას არ ეხება. „აფბას“ წარმომადგენლის განმარტებით, ეს თემა სწორედაც რომ საზოგადოებას ეხება, რადგან არც ერთი კომპანია წაგებაზე არ იმუშავებს და იმ გადასახადს მომხმარებელს ჩაუდებს ტარიფში. შესაბამისად, რა თქმა უნდა, საქმე სატელეფონო კომპანიებსაც ურთულდებათ, მაგრამ მარეგულირებელი კომისიის ასეთი უსამართლო გადაწყვეტილებით საბოლოოდ მაინც საზოგადოება იჩაგრება.

მერაბ ჯანიაშვილი ამბობს, რომ **„მედიაპრო ჯორჯიას“ მფლობელი კომპანია, „მედიაფონი“, რომელიც სულ ოთხ ქვეყანაში ოპერირებს, ანალოგიურ მომსახურებას ლიტვაშიც ახორციელებს და იქ მისი მომსახურება თითოეულ აბონენტზე 0.28 ევრო ღირს.**

**„მართალია, საქართველოში ეს გადასახადი შემცირდა (თუნდაც უმნიშვნელოდ), მაგრამ საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, რა დანახარჯებზე იყო გათვლილი თუნდაც ის 38 ევროცენტი, ან დღეს რისი მეშვეობით შემცირდა ეს გადასახადი 32 ევროცენტამდე. ამიტომ ცხადია, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ჩაატარა ტენდერი, რომელშიც გამოვლინდა არა საუკეთესო, არამედ ყველაზე ცუდი ვარიანტი, რაც შეგვეძლო, მიგვეღო. ტენდერში სამი კომპანია იღებდა მონაწილეობას და ამდენად, ისედაც დიდი კონკურენცია არ იყო. მიუხედავად ამისა, ორი მათგანი დისკვალიფიცირებული იყო და დღეს სამი ადამიანისგან შემდგარი კომპანია მილიონობით ლარის შემოსავალს იღებს და თან ჩვენი აბონენტების ხარჯზე“,** — აღნიშნავს მერაბ ჯანიაშვილი.

„აფბას“ პრეზიდენტის ნოდარ ჭიჭინაძის თქმით, ასევე საყურადღებოა ის მომენტი, რომ პორტირებულია სულ 110 000 აბონენტი, კომპანიებს კი გადასახადს 5 მლნ 800 ათასი აბონენტის ბაზაზე ახდევინებენ.

**„თითოეული თქვენგანი რომ მივიდეს ფიჭური კავშირგაბმულობის ნებისმიერ კომპანიაში, აიღოს ნომერი და ეს ნომერი თუნდაც გადააგდოს (ანუ, არ განახორციელოს პორტირება), ამ ნომრის გამო კომპანიას უწევს მართალია ოდნავ შემცირებული, მაგრამ მაინც (32 ევროცენტის ოდენობით) გადასახადის გადახდა. ამ სფეროს ექსპერტების განცხადებით, „მედიაპრო ჯორჯიას“ ხარჯები არ შეიძლება იყოს მაღალი და შეუძლებელია 100 000 დოლარს აღემატებოდეს. ასეთ კომპანიას არც თანამშრომელთა დიდი შტატი ჭირდება, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მას ქართული საკომუნიკაციო კომპანიები წელიწადში ხუთ მილიონ ლარზე მეტს უხდიან. ამ ყველაფერში დამნაშავე კი კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიაა“,** — ამბობს ნოდარ ჭიჭინაძე.

მისი განმარტებით, „მედიაპრო ჯორჯიას“ მფლობელი არის ლიტვური კომპანია, რომელსაც ამ სფეროში გამოცდილება არ აქვს და იგი სატელევიზიო თამაშების მომწყობი ფირმაა. ჭიჭინაძის თქმით, ეს სწორედ ის კომპანიაა, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში რამდენიმე თვის განმავლობაში სატელევიზიო თამაშს აწყობდა, როდესაც დაფარული სიტყვის გამოსაცნობად მაყურებლები ტელეეთერში რეკავდნენ და ამის საფასურად საკმაოდ დიდი თანხები ეჭრებოდათ ანგარიშიდან.

**ვინაიდან „მედიაპრო ჯორჯიას“ მფლობელი არის ლიტვური კომპანია, „აფბაში“ აცხადებენ, რომ სავარაუდოდ, საქართველოში განხორციელებული სატელეფონო ზარების შესახებ ინფორმაცია ლიტვაში მიდის და შემდეგ იქ ვინ რაში გამოიყენებს ამ ინფორმაციას, უცნობია.**

**ფინანსისტების განმარტებით, თავად მარეგულირებლის მიერ გამოცხადებული ტენდერის კანონთან შესაბამისობაც ბადებს ეჭვებს, რადგან ტენდერი 2010 წლის ივლისში ჩატარდა, ხოლო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილება, 2011 წლის აპრილში შევიდა. ამიტომ „აფბაში“ მიიჩნევენ, რომ ამ ტენდერის საქმე მთლიანად სამართალდამცავი სტრუქტურების შესწავლის საგანი უნდა გახდეს და ფინანსისტები აპირებენ, უახლოეს დღეებში ამ თხოვნით, მთავარ პროკურატურას მიმართონ.**

**რუსუდან უშიკიშვილი**

# ნაყოფიას ნაყოფს უთვლიან

**ოქრო არის, შემოსავალი არ ჩანს**

**სააქციო საზოგადოებებში „კვარცსა“ და „მადნეულში“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდა. მიზანი — 2005 წლიდან დღემდე ფინანსური დოკუმენტაციის შემოწმება.**

ოქროს 37 საბადოზე 2005 წელს გაიცა ლიცენზია. ანტირუსული რიტორიკით გამორჩეულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ საზოგადოება შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში, როცა განაცხადა, რომ საბადოები („მადნეული“) ბრიტანულმა კომპანიამ შეისყიდა. მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა, რომ ბრიტანულის შვილობილი კომპანია რუსული „გეოპრომაინინგი“ იყო, რომელიც 2011 წლამდე მართავდა „მადნეულს“.

2011 წლის ზაფხულში რუსულ კომპანიას ლიცენზია გაუუქმდა. მიზეზად დასახელდა ლიცენზიის პირობების დარღვევა. ვიდრე ეს მოხდებოდა, 2008 წელს შეიცვალა კომპანიის ხელმძღვანელობა. ერთ-ერთ ხელმძღვანელად რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი კობა ნაყოფია მოგვევლინა.

**ინფორმაცია განსჯისთვის:** ნაყოფია რუსეთში ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენი იყო, იგი 1994-96 წ.წ. მოსკოვში კომპანია „ზოლოტოე რუნოს“ გენდირექტორად მუშაობდა. გახდა დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის მრჩეველი.

2004 წლამდე სხვადასხვა ცნობილ კომპანიებს ხელმძღვანელობდა. 2004 წლიდან საქართველოში დაბრუნდა და „მადნეულის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა. ამ პოსტზე 2008 წლამდე მუშაობდა, პარალელურად, 2006 წ. გახდა „კვარცის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 2007 წლიდან ინიშნება ზარაფხანა „დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

2008 წელს გადადგა „მადნეულის“ გენდირექტორის თანამდებობიდან და ამ სააქციო კომპანიის სერიოზული აქციები შეისყიდა.

სპეციალისტები ნაყოფიას „მადნეულში“ მუშაობას უკავშირებენ ორგზის საქართველოს პარლამენტის წევრობას. იგი ახლაც პარლამენტარია, მან კრიტიკოსების მიერ უნიჭოდ გადაღებულ ენდი გარსიას კინოფილმის ჩვენებაზე თბილისში, 20 ათასი დოლარი (ოფიციალურად) გადაიხადა კინომსახიობ შერონ სტოუნის გვერდით დასაჯდომ ბილეთში.

პირობების შეუსრულებელ კომპანიას „მადნეული“ ხელმეორედ მიჰყიდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსულ კომპანიას პირობების შეუსრულებლობისთვის ლიცენზია ჩამოერთვა. 2011 წელს გამოცხადდა ახალი ტენდერი, პირველი — 26 სექტემბერს, მეორე 3 ოქტომბერს ჩატარდა. გამარჯვებულად გამოცხადდა საეჭვოდ დაარსებული (იმავე წლის 30 აგვისტოს) და ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ფირმა „კავკასიის სამთო ჯგუფი“, რომელმაც ბოლნისის უნიკალური ოქროს საბადოები 93,5 მლნ. დოლარად შეიძინა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, სალიცენზიო პირობების დამრღვევი და ლიცენზიაჩამორთმეული რუსული კომპანია „გეოპრომაინინგი“ ისევ ერთ-ერთ გამარჯვებულად გამოცხადდა და ეკონომიკის სამინისტრომ ერთ-ერთ საბადოს მართვის უფლება 9 მლნ ლარად მას გადასცა.

ნოდარ ხადურის განმარტებით, ფინანთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ ბევრი კომპანია საგადასახადო ოაზისში იმყოფებოდა. მათზე საგადასახადო კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა და არც არავინ აწუხებდა. დიდ ნაწილთან ფორმდებოდა საგადასახადო შეთანხმებები და ისინი ვალისაგან სუფთავდებოდნენ.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით „მადნეულსა“ და „კვარციტში“ საგამოძიებო სამახურის შესვლის მიზეზი გახდა ოპერატიული ინფორმაცია, საგადასახადო შემოწმება ტარდება მხოლოდ ერთი მიზნით, რათა გავარკვიოთ რამდენად კეთილსინდისიერია გადამხდელი და რამდენად არის ის სახელმწიფო ბიუჯეტთან პირნათელი. სხვა ამოცანა ამ შემოწმებას არ გააჩნია — აცხადებს ხადური.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



არჩილ ჩხოტუა

*ეს იყო ნამდვილი შოკი, როდესაც „შერატონ მეტეხი პალასის“ საკონფერენციო დარბაზში დიდ ეკრანზე ჩვეულებრივი ქირურგიული ოპერაციის მიმდინარეობა ანუ „ლაივ-ოპერაცია“ უჩვენეს. მაშინ, ორიოდე წლის წინათ, ამ ყველაფერს მართლაც სრულიად ახალი და ცინცხალი იდეის ელფერი ჰქონდა, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ საქართველოს უროლოგიის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ლაური მანაგაძე. მოწვეული სტუმრები, კონფერენციის მონაწილეები და ჟურნალისტები თვალყურს ვადევნებდით ურთულეს ოპერაციებს, რომელთაც ვირტუოზი უროლოგები გვთავაზობდნენ, ისინი ჩვენი „თანდასწრებით“ იბრძოდნენ პაციენტების სიცოცხლის გადასარჩენად. ეს იყო ნამდვილი პროფესიონალური შოუ პროფესიონალების შესრულებით...*

*26-27 იანვარს კვლავ გაიმართება უროლოგთა სამეცნიერო კონფერენცია, უკვე ტრადიციად ქცული შოუს ელემენტებით, რომელზეც ვრცლად გვესაუბრება ალექსანდრე წულუკიძის სახელობის ეროვნული უროლოგიის ცენტრის სამეცნიერო დირექტორი პროფესორი არჩილ ჩხოტუა:*



ლაური მანაგაძე

# არ არსებობს ოპერაცია, ჩვენთან რომ არ აკეთებდნენ

— სასტუმრო „მეტეხი-პალასის“ საკონფერენციო დარბაზში ჩატარდება საქართველოს უროლოგთა ასოციაციის მორიგი სამეცნიერო კონგრესი. კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ უროლოგები თბილისიდან და საქართველოს სხვა დიდი ქალაქების წამყვანი კლინიკებიდან: უროლოგიის ეროვნული ცენტრიდან, რკინიგზის საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილებიდან, ე.წ. რესპუბლიკური საავადმყოფოს უროლოგიური დეპარტამენტიდან და სხვა. კონგრესზე გვეყოლება მოწვეული სტუმრები უცხოეთიდან: გერმანიიდან, ინგლისიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან...

კონგრესი ამჯერადაც იმითაა მნიშვნელოვანი, რომ წარმოდგენილი იქნება როგორც სამეცნიერო მოხსენებები, ისე მოხდება ოპერაციების ვიდეოდემონსტრირება. გაკეთდება იშვიათი და რთული ოპერაციები და მათ შესახებ გაიმართება დისკუსიები. ამას აქვს ორმაგი მნიშვნელობა: საინტერესოა საგანმანათლებლო კუთხით, და ასევე საკუთარი გამოცდილების გაზიარების მხრივ, რადგან ოპერაციების მიმდინარეობა ვიზუალურად ადვილი აღსაქმელია.

**— თუმცა, ეს არ არის სიახლე, ის უკვე აპრობირებული მეთოდია, რომელიც სწორედ თქვენმა ცენტრმა დანერგა და გამოიყენა, როგორი გამოხმაურება მოჰყვა მას და რა შედეგი მიიღეთ?**

— ეს იყო 2010წელს, როდესაც პომპეზურად აღვნიშნეთ უროლოგის ცენტრის 50 წლის იუბილე. ეს იყო პირველი მცდელობა, მაშინ პირდაპირი ტრანსლირება ხდებოდა ჩვენი დაწესებულების საოპერაციოებიდან. მართალი გითხრათ, ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ოპერაციის მსვლელობას ხშირად ახლავს საშიშროება. ჩაწერილი ოპერაციების დემონსტრირება ადვილია, რადგან შეიძლება დაამონტაჟო. თუკი ტექნიკური წუნი აქვს, შეგიძლია ამოჭრა,რამდენიმე ოპერაციიდან შექმნა ერთი ვიდეოფირი. მაგრამ სულ სხვაა, როცა ოპერაცია კეთდება ცოცხლად, მაშინ მდგომარეობა გაცილებით რთულია.

**— თქვენ პირადი გამოცდილებით ამბობთ?**

— დიახ, ჩემი მონაწილეობით ორი ოპერაცია შესრულდა. როცა აკეთებ ურთულეს ოპერაციას და იცი, რომ რამდენიმე პროფესიონალი გიყურებს პირდაპირ ეკრანზე, ოპერაციის მსვლელობის ყველა დეტალს აკვირდება, ეს ყოველთვის იწვევს დაძაბულობას. ამიტომ ეს არ არის მარტივი პროცესი. ოპერაციის დროს ხდება გართულებები. მაშინ, კონფერენციის წინ, როცა ეს იდეა მოგვაწოდა ბატონმა ლაურიმ, ვიმსჯელეთ, რამდენად საჭირო იყო ასეთი ექსპერიმენტი და რამდენად წაგვადგებოდა ის. საბოლოოდ, მივიჩნიეთ, რომ საამისოდ მომწიფებულები ვიყავით და საკმარისი პროფესიონალიზმიც გვქონდა. კონფერენციამ წარმატებულად ჩაიარა, ურთულესი ოპერაციები ჩავატარეთ, ყოველგვარი სერიოზული გართულებებისა და ტექნიკური წუნის გარეშე. ჩემი აზრით, 2010 წლის კონფერენცია დარჩება შემდეგი თაობებისთვის როგორც ერთ-ერთი სამაგალითო და საუკეთესო კონფერენცია.

## „ლაივ-ოპერაცია“ - ქართველი უროლოგების ვირტუოზობით

**— არ იყო რთული პაციენტების დაყოლიება?**

— არა, პაციენტებს გავაცანით ყველა პირობა, მათი იდენტურობა დაცული იყო.

**— მაშინ მახსოვს, რომ მოხდა თირკმლის ტრანსპლანტაცია, მამამ მისცა შვილს თირკმელი და ამ პროცესს მთელ დარბაზი ვგულშემატკივრობდით...**

— დიახ, მართალი ბრძანდებით. ჩატარდა ურთულესი და იშვიათი ოპერაციები. ეს მიმდინარეობა მას შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესდა. ჩვენ გვექნება კიდევ ერთი მორიგი მცდელობა, ვაჩვენოთ უროლოგიის მიღწევები და შესაძლებლობები...

**— კიდევ რამე სიუპრიზს ხომ არ ამზადებთ?**

— უკვე არ გავაკეთებთ ჩვეულებრივ ოპერაციებს, მოხდება რთული და იშვიათი შემთხვევების დემონსტრირება უროლოგიაში, ანუ იმ ოპერაციებს გავაკეთებთ, რომლებიც არ არის რუტინული, შედარებით იშვიათია და შესასრულებლად სჭირდება მაღალი დონე. თუმცა, იქნება ნაჩვენები ისეთი ოპერაციებიც, რომლებიც სირთულით არ გამოირჩევიან, მაგრამ ჩვენ ვაჩვენებთ ჩვენეულ ხედვას ასეთი ოპერაციების შესრულებისა. მიზეზი ისაა, რომ საქართველოში კეთდება ასეთი ოპერაციები, მაგრამ ტექნიკურად სხვადასხვანაირად ასრულებენ მას. ჩვენ ვაჩვენებთ, როგორ არის უმჯობესი შესრულდეს ესა თუ ის არცთუ ისე რთული ოპერაცია. ეს გამყარებული იქნება არა მხოლოდ ვიზუალური კუთხით, არამედ სტატისტიკითაც, რომელიც ემყარება ასეულობით მონაცემს. ამასთან ერთად იქნება თეორიული ნაწილი, სადაც ძირითად ვისაუბრებთ გაიდლაინების სიტემაზე, თუ როგორ ვიმუშაოთ ევროპის უროლოგების ხედვის მიხედვით, როგორ ვმართოთ უროლოგია. კონფერენციაზე ვაჩვენებთ ყველაზე ხშირი და ძირითადი უროლოგიური დაავადებების მართვის თანამედროვე ევროპული გაიდლაინების პუნქტობრივ სახეს: რა შემთხვევაში, რა უნდა გაკეთდეს, გვექნება პატარა ვიდეოროლიკები, თუ როგორ ასრულებენ ჩვენი უროლოგები ამ ოპერაციებს. უნდა მოხერხდეს, რომ უროლოგიის სფერო საქართველოში იყოს უნიფიცირებული, ეს იქნებოდა ძალიან კარგი. ეს ვერ მოხერხდება სრულად, თუნდაც ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ რისი გაკეთებაც შეიძლება, ის მაინც უნდა გაკეთდეს, ეს ეხება დიაგნოსტიკას, მართვას, მკურნალობას, ოპერაციას, ოპერაციის შემდგომ მკურნალობას, მეთვალყურეობასა და სხვა. ვფიქრობთ, ადმინისტრაციულ მართვაზე უფრო ეფექტიანი გაიდლაინური სისტემით მართვა იქნება.



**— ანუ ჩვენ მივედით იქამდე, ვთქვათ, თუ რა არის ამ კონფერენციის მიზანი?**

— დიახ, მიზანი სწორედ ეს არის. საქართველოს უროლოგიის ასოციაცია მიიჩნევს, რომ შეძლებისდაგვარად უროლოგიური სერვისი იყოს უნიფიცირებული.

**— თქვენი წარმატების მიუხედავად, თუ გყავთ უკმაყოფილო პაციენტები?**

— უკმაყოფილო პაციენტები იქნებიან მუდმივად, სამწუხაროდ, არ არსებობს მედიცინის დარგი, სადაც ეს პრობლემა არ დგას, ეს გარდაუვალია ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, მაგრამ, როგორც მახსოვს, ექიმთა ასოციაციის მონაცემებით ხუთეულში არ შევდივართ.

**ბატონმა ლაურიმ მოუცლელობის მიუხედავად მაინც გამონახა დრო ჩვენთან გასასაუბრებლად:**

— უროლოგიის ეროვნული ცენტრი ერთ-ერთი წამყვანია ამ სფეროში. მე ამ დაწესებულების მესამე დირექტორი ვარ. ცნობილი უროლოგი გახლდათ ჩემი წინამორბედი ალექსანდრე წულუკიძე და სწორედ მისი დიდი დამსახურების გამო პირველი უროლოგიის ცენტრი გაიხსნა თბილისში, 20 წლის შემდეგ კი — მოსკოვში. რაც მე საამაყო მიკეთებია, ისაა, რომ ვტოვებ ძალიან კარგ უროლოგთა ახალ თაობას, რომლებიც გამორჩეულები არიან მსოფლიოში. ამ კონგრესზე ისინი გააკეთებენ სრულ დიაპაზონს. უროლოგიაში არაფერი ისეთი არ არსებობს, რაც ამ დეწესებულებაში არ კეთდება. დაწყებული თირკმლის ტრანსპლანტაციიდან, რომელსაც ბატონი არჩილი წარმატებით ასრულებს 10 წელიწადზე მეტია. სწორად ამიტომ მინდოდა ის თქვენთვისაც გამეცნო და გაგსაუბრებოდით. ამ თაობას უდიდეს პატივს სცემენ დასავლეთში, აღიარებენ, მინდა ჩვენთანაც ასეთივე ცნობილები იყვნენ.

ჩვენი ცენტრი ყველანაირი თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აპარატურით არის აღჭურვილი. გვაქვს ყველაზე კარგი მწარმოებლების აპარატურა. ყველაფერი სეგმენტურად არის გაკეთებული. სრულად აკმაყოფილებს უროლოგიის მოთხოვნებს. არ არსებობს უროლოგიური ოპერაცია, რომელსაც საქართველოში არ აკეთებენ. ასე რომ, ქართველ პაციენტებს არ სჭირდებათ საზღვარგარეთ გამგზავრება საოპერაციოდ, მდიდრებს უყვართ წასვლა დასავლეთში, ეს მათი სურვილია, თუმცა იძულებული არავინ არ არის, წავიდეს უცხოეთში იმიტომ, რომ აქ არ კეთდება რაღაც.

**— და, ალბათ, ეს არ არის მხოლოდ აპარატურის დამსახურება, არამედ ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლინებაა.**

— რა თქმა უნდა, ასეა. აქ არის არაჩვეულებრივი ატმოსფერო, ჩემმა თაობამ გზა გაუხსნა ახალ თაობას და ეს კარგი და საამაყოა.

**— უროლოგიის სფერო კარგად არის განვითარებული... თუმცა სხვა სფეროს ექიმებიც არნაკლებ აღიარებენ საკუთარ შესაძლებლობებს, არა?!**

— არის თუ არა ისეთი რამ, რის გამოც პაციენტი იძულებულია, წავიდეს უცხოეთში? აკეთებენ თუ არა გულის გადანერგვას? — თქვენ შეგიძლიათ დასვათ ასეთი კითხვა. ასევე გვკითხეთ უროლოგებს, — არის რამე ისეთი, რასაც ვერ აკეთებთ? ჩვენი პასუხია — არა. საქართველოს ჰყავს ძალიან წარჩინებული უროლოგები, თუმცა ჩვენ შორის არის კონკურენცია, შიდა კონკურენცია, მაგრამ ეს არის კეთილგანწყობილი, პატიოსანი, სადაც ჯანსაღად უნდა შეაფასო სხვისი წარმატება და მარცხი. ჩვენ შევთავაზეთ ყველას, გაეკეთებინათ ვიდეო მოხსენებები, სამოყვარულო კამერით გადაღებული, რომელიც ადვილი გასაკეთებელია და წარმოედგინათ კონგრესზე. ბევრმა თავი შეკავა...

**— ბატონო ლაური, კონკურენტებისგან განსხვავებით, თქვენ ახლა არემონტებთ დაწესებულებას, გამოგიჩნდათ ინვესტორი?**

— საკუთარი სახსრებით ვაკეთებთ ყველაფერს და ამიტომაც გაჭიანურდა ეს პროცესი. საბედნიეროდ, გვყავს შვეიცარიელი მეგობრები, რომლებიც გვეხმარებიან. რაც კარგი სეგმენტებია, მათი ფინანსური დახმარებით გაკეთდა. ფონდი „კორვუსი“ აქტიურად გვეხმარება. გამოიცვალა წყალმომარაგების მილები, კანალიზაცია, გათბობა, მოწესრიგდა საოპერაციო ბლოკები, რამდენიმე თვეში სრულად მოწესრიგდება დაწესებულება. თან ისე გაკეთდა რესტავრაცია, რომ მუშაობაში შეფერხება არ გვქონია, ერთი დღე არ შეგვიწყვეტია საქმიანობა.

**— ფასების კორექცია ხომ არ მომხდარა?**

— საკუთარი ჯიბიდან გადამხდელები თითქმის არ არიან, ხოლო სადაზღვევო კომპანიებმა, ვინაიდან ისინი ფინანსურ მოგებაზე არიან ორიენტირებულები, ყველაფერი იღონეს, რათა ფასები იყოს დაბალი.

პრობლემა მუდმივად არის, მაგრამ მთავარია, რომ ორგანიზაცია ცოცხალია!

**ესაუბრა**
**თეა მოსია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**საუბარი გათავისუფლების შემდეგ**

# „დათა თუთაშხიას“ გაგრძელება პოლიტპატიმრის კალმით...

ეს პოლიტპატიმარი, დღეს უკვე თავისუფლებაზე მყოფი, **მერაბ რატიშვილია,** რომელმაც 5 წელი და 3 თვე გაატარა სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თბილისიდან რუსთავამდე და პატიმრობაში 4 რომანი დაწერა, რომლებიც უკვე გამოვიდა უმისოდ და წარდგენაც ჰქონდათ, რასაც, ერთთავად, საყვარელი მეუღლის დიდ ყურადღებასა და გარჯას უმადლის ბატონი მერაბი.

— 2012 წლის აპრილში, გიორგობას, ჭაბუა ამირეჯიბი დამესიზმრა, მეუღლეს ვთხოვე, მოეტანა ჩვენთვის საპატიმროში „დათა თუთაშხია“, რომელიც, რა თქმა უნდა, ადრე მქონდა წაკითხული, მაგრამ მოვიწადინე, ერთხელაც წამეკითხა... სიუჟეტის მოფიქრების, განსჯის შემდეგ, რომ ბოროტებამ არ შეიძლება გაიმარჯვოს სიკეთეზე, რომ საინტერესოა, რა ბედი ეწია მამის მკვლელ გუდუნასა და დედამის ბეჩუნის, გავბედე „დათა თუთაშხიას“ გაგრძელება, თავისუფლად ვმუშაობდი, რვეულები ბლომად მქონდა, ხელს არავინ მიშლიდა, ვწერდი და ვწერდი... დედანს ჩემს ადვოკატს ვატანდი, ჩემი მეუღლე აკაბადონებდა ტექსტს და 18 ნოემბერს, ბატონი ჭაბუას დაბადების დღეს, „თბილისი-მერიოტში“ უჩემოდ გაიმართა „დაკარგული ფურცლების“ წარდგენა... როგორც ეკამ გამაგებინა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა... ამნისტიით რომ გავთავისუფლდი, რა გამაჩერებდა, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი მოვინახულე და, ცხადია, ჩემი რომანიც გადავეცი დიდი მორიდებით... როგორც გავიგე, მოსწონს იგი დიდ მწერალსა და მის ოჯახს, რაც ჩეთვის ერთი ბედნიერებაა.

**— თქვენ, ზემოთ თქვით, ხელს არავინ მიშლიდაო... გამოდის, რომ ციხეში კარგად გექცეოდნენ... ვინ იყავით ასეთი?..**

— უპირველესად, პოლიტპატიმარი, რომელიც უცხოეთის ორგანიზაციებმა მაღიარეს, ამიტომ არ ჰქონდათ შარის თავი, იქეთ ვაწვებოდი, პატიმრების ცემა-წამების ფაქტზე რამდენჯერმე ციხის უფროსსაც შევეკამათე...

**— როდის დაგაპატიმრეს?**

— 2007 წლის 26 ოქტომბერს, სანამ ნოემბრის ცნობილი აქციები დაიწყებოდა...

**— მიზეზი?..**

— გაერთიანებული ოპოზიციის მხარდაჭერა... ნარკოტიკები... სრული აბსურდი... როგორ შეიძლება, გოლფის მოთამაშე კაცი ნარკომანი, ან ალკოჰოლიკი იყოს?.. სანამ რუსეთში ვიყავი, გოლფს ვთამაშობდი ხოლმე, მინდა, საქართველოში გავხსნა გოლფის კლუბი, მოვაწყო რამდენიმე მოედანი...




**— ბორის პაიჭაძის ქვეყნის შვილს გოლფი რამ შეგაყვარათ?..**

— ფეხბურთისგან განსხვავებით, გოლფი შეიძლება ყველა ასაკში ითამაშოს კაცმა, თანაც სრულიად მშვიდად, ნერვების წყვეტის გარეშე, ეს არის ჭადრაკი მოედანზე, მაღალზნეობრივი სპორტის სახეობა — თამაშის დროს თუ რამე შეგეშალა, შენვე უნდა აღიარო, თორემ ველარ გაეკარები იქაურობას... მოკლედ, მაგარი რამეა და ვნახოთ, ძალიან მინდა, რომ საქართველოშიც დაინერგოს იგი.. გოლფს 50 მილიონზე მეტი კაცი თამაშობს...

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ „ვარდოსნების“ მეგობარი იყავით...**

— „ვარდოსნების“ მეგობარი კი არ ვიყავი, როგორც თითქმის, მთელი საქართველო, მეც სიახლის სუნთქვას, ახალ აზროვნებას შევნატროდი... ამ ბიჭებს ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირიდან“ ვიცნობდი... ზურა ჟვანიასთან ვმეგობრობდი, სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე ვმუშაობდი და მაგათ ფულსაც ვურიცხავდი... ზურას სიკვდილის შემდეგ, აბა, ამათთან რაღა გამაჩერებდა?!.

**— რა თანამდებობები გქონდათ მაინც?..**

— მე გორელი კაცი ვარ, გორის თეატრის მსახიობი ვიყავი, ოლეგ კოშევოის როლიც კი განვასახიერე მის სცენაზე, რისთვისაც სახელგანთქმული რუსი მსახიობის ალექსი პოპოვის პრემია დავიმსახურე. მერე მოსკოვში წავედი, ოლეგ ტაბაკოვთან ვიყავი მცირე ხანს, მერე ცოლი შევირთე, თეატრის რეჟისორობაზე ვოცნებობდი და უცებ ჯარში წამიყვანეს, რამდენიმე თვე დავყავი საბჭოთა არმიაში, ჩამოვედი იქიდან და ცოტა ხანში ინჟინერი გავხდი, რამაც განსაზღვრა კიდეც ჩემი მომავალი ცხოვრება. ვმუშაობდი მოსკოვის მეტრომშენში, კომკავშირის ქალაქკომში, ვიყავი კომკავშირის ცეკას შტაბის უფროსი... ერთი წლის შესული ვიყავი პარტიაში, 9 აპრილის ტრაგედია რომ დატრიალდა თბილისში და უმალ გამოვედი პარტიიდან... 90-იანი წლების დასაწყისში ვიყავი საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და წარმომადგენელი რუსეთში, ვმუშაობდი დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის მოადგილედ, ხოლო, როდესაც დსთ-ს ფარგლებში შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია, 9 წელიწადს ვიყავი მისი პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, კავშირი მქონდა საქართველოსთან, ჩემი გახსნილია „საქგრუზენერგო“, ჩემი აღდგენილია ცნობილი „მე-9 ბლოკი“ და ასე რამდენი...

**— „ნაცმოძრაობასთან“ ჯერ დაახლოებისა და მერე დაშორების მიზეზი მარტო ზურაბ ჟვანია არ იქნებოდა...**

— ცხადია... ზურას სიკვდილის შემდეგ ერთიანად აიწყვიტეს მისმა „მეგობრებმა“, წავიდნენ ავტორიტარიზმისკენ... მე კი ნელ-თბილად ვერ მოვიქცეოდი... ეკონომიკის სასწაულებზე გაჰკიოდნენ, ამ დროს კი, დღესაც, ჩვენი პროდუქციის 80 პროცენტი იმპორტია, ანუ, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი ქვეყანა არა ხარ... მაგათი პოლიტიკა იყო მოჩვენებითი, ფასადური, ტრაბახზე აგებული... აკი, ჩავცვივდით კიდეც შავ დღეში...

**— წარმოუდგენელია, რომ თქვენ მწერლური ნიჭი არ გქონოდათ და ციხეში, ისე, დროს გაყვანის მიზნით დაგეწყოთ წერა...**

— მე არ ვარ პოეტი, თუმცა ვწერდი და ვწერ ლექსებს, მოთხრობებს... პატიმრობის პერიოდში ჩემი ლექსებისა და მოთხრობების მცირე კრებულიც კი გამოიცა (ესეც ჩემი მეუღლის, ჩემი ეკას დამსახურებაა).

2010 წლის 10 სექტემბერს ციხის საკანში დავიწყე რომან „ჯუღას“ წერა და 2011 წლის 11 იანვარს ჩავაბარე ადვოკატს ჩემი მეუღლისთვის გადასაცემად... და გამოიცა კიდეც...

**— კარგი რეკლამა ჰქონდა ხოლმე ერთ-ერთ ტელეარხზე... სამწუხაროდ, არ წამიკითხავს...**

— აუცილებლად გაჩუქებთ... ამას მოჰყვა „ილიადი“ (ჯუღა-2) და რომანი „თეთრი ლამა“, რომლებიც ცალ-ცალკე გამოიცა... — ჯუღა, ალბათ იცით, ძველქართულად ნიშნავს ფოლადს, სტალინმა ამიტომაც დაირქვა სტალინი — ჯუღაშვილი თარგმნა... ეს სამი რომანი — ჯუღა“, „თეთრი ლამა“ და „დაკარგული ფურცლები“ — არის ქართულ გენზე... მინდოდა მეჩვენებინა, როგორ ვიხარშებით ჩვენ საკუთარ გენში და ვერ ვხვდებით, რა გავლენა იქონია გენმა და ჯიშმა უცხოეთზე, უცხოელებზე... ჯუღა იყო სტალინის უკანონო შვილი, მისი პირადი საიდუმლო სამსახურის ხელძღვანელი, რომლისთვისაც სტალინს უნდოდა გადაებარებინა თავისი მმართველობა... მე ბევრი მირეკავს, აინტერესებთ ჩემთან საუბარი, რომელსაც აუცილებლად გავმართავ მარტის თვეში... ვისაც სურვილი ექნება, მობრძანდეს...

**— რა თქმა უნდა, უპირველესად, ჟურნალისტები გეყოლებით მოწვეული ამ შეხვედრაზე.**

— თავისთავად...

**— მაშ, ჯერჯერობით... დიდი მადლობა დღევანდელი შეხვედრისა და საუბრისთვის.**

* * *

აბა, გორელი „ჩაიჭრებოდა“?

მერაბ რატიშვილი განა დაელოდა ჩვენი საუბრის გაზეთში დაბეჭდვას, ანდა, ჩემგან გადმოცემული ეს საუბარი მოეწონებოდა თუ არა: რახან მითხრა, „ჯუღას“ გაჩუქებო, მეორე დღესვე თავისი მეუღლის, ქალბატონი ეკას ხელით გამომიგზავნა 4 მოზრდილი ტომი რომანებისა: „ჯუღა“, „ილიადი“ (ჯუღა-2), „თეთრი ლამა“ „დაკარგული ფურცლები“ და ლექსებისა და მოთხრობების კრებული „ოდესღაც“. ამით, რა თქმა უნდა, ერთი ნათელი შტრიხი შემატა მან თავის გულქართლობას. დავჯდები ახლა და გაზაფხულამდე ვიკითხავ და ვიკითხავ მერაბ რატიშვილის ციხის საკანში ფრთებშეუკვეცავ შემოქმედებას.
















**ვილენ მარდალეიშვილი**

---

**იცოდით?**

# მწერლები და ქალაქები

**– პარიზი, საფრანგეთი.** ევროპის ამ ქალაქში მოღვაწეობდნენ მსოფლიოს საუკეთესო მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. პარიზის ქუჩებში დასეირნობდნენ — ვოლტერი, ჰიუგო, დიუმა, ბალზაკი... შთაბეჭდილებების, სექსუალური, რელიგიური და პირადი თავისუფლებისათვის აქ ჩამოდიოდნენ ამერიკელი მწერლებიც: ჰერტრუდა სტაინი, ერნესტ ჰემინგუეი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი...

**ლონდონი, ბრიტანეთი.** მრავალი ინგლისელი ლონდონში ან დაიბადა ან ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. ჩარლზ დიკენსის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ ამ ქალაქში მწერლის სახლ-მუზეუმი დაათვალიერონ. იქვე იპოვით ისეთ ადგილებს, სადაც გამოძიებას არტურ კონან დოილის გამომძიებელი — შერლოკ ჰოლმსი ატარებდა. ერთ-ერთი ასეთი „რეზიდენცია“ ბეიკერ-სთრითზე მდებარეობს. ლონდონში წიგნებში აღწერილ ადგილებს მოინახულებენ ჯეფრი ჩოსერის, ჯონ კიტსის, ჰერბერტ უელსისა და სხვათა შემოქმედების თაყვანისმცემლები.

**– დუბლინი, ირლანდია.** „დუბლინელების“ ავტორი ჯეიმს ჯოისი და სემუელ ბეკეტი ამ ქვეყანაში ქმნიდნენ შედევრებს. თუ ირლანდიაში ჩახვალთ, აუცილებლად ეწვიეთ ნაციონალური ბიბლიოთეკას და ლიტერატურულ პაბს.

**– რომი, იტალია.** ძველი რომი ანტიკური ფილოსოფოსებისა და მწერლების ქალაქია. მოგვიანებით ქალაქში ხშირად ჩადიოდნენ: პერსი შელი მეუღლესთან (მერი შელი) ერთად, კიტსი, ჰენრი ჯეიმსი და სხვები.

**– სტრატფორდი, ბრიტანეთი.** დედამიწაზე ძნელად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც უილიამ შექსპირის შესახებ არაფერი სმენია. ქალაქ სტრატფორდს (მდინარე ვივონზე, პერტის საგრაფო), სადაც მწერალი დაიბადა, ყოველწლიურად 3 მლნ. ადამიანი სტუმრობს. ქალაქში ნახავთ მწერლის მუზეუმს, თეატრსა და სხვა ღირსშესანიშნაობებს.

**– ნიუ-იორკი, აშშ.** ჯეკ ტერუაკის, ალენ გინზბერგის, ზონა ნილ ჰერსტონის, ლენგსტონ ჰიუზისა და სხვათა თაყვანისმცემლები „დიდ ვაშლს“ — ნიუ-იორკს უნდა ეწვიონ.

**– ედინბურგი, შოტლანდია.** ამ ქალაქში ცხოვრობდნენ და წერდნენ: არტურ კონან დოილი, ვალტერ სკოტი, რობერტ სტივენსონი. დღეს „ჰარი პოტერის“ ავტორი — ჯოან როულინგი ამ ქალაქის მკვიდრია. სხვათა შორის „იუნესკომ“ ედინბურგს „ლიტერატურული ქალაქი“ უწოდა.

**– სან-ფრანცისკო, კალიფორნია. აშშ.** ნიუ-იორკის შემდეგ კერუაკმა და გინზბერგმა სანფრანცისკოს მიაშურეს. ცოტა ხნით აქ ჰენრი მილერი ცხოვრობდა. ქალაქში მოხვედრილმა აუცილებლად შეიარეთ კაფე „ვეზუვში“.

**– კონკორდი, მასაჩუსეტსი, აშშ.** კონკორდი პატარა ქალაქია. მასში სულ რაღაც 20 ათასი ადამიანი ცხოვრობს. XIX საუკუნეში ამ ქალაქში ცხოვრობდნენ იმ დროის პოპულარული მწერლები: რალფ უოლდო ემერსონი, გოტორნა, ხოლო 1817 წელს კონკორდში დაიბადა ამერიკელი მწერალი და ფილოსოფოსი დევიდ ტორი.

**– სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი.** XIX-XX საუკუნეში რუსული ქალაქის ქუჩებში დასეირნობდნენ — პუშკინი, ტოლსტოი, ჩეხოვი, დოსტოევსკი, გუმილიოვი და ანა ახმატოვა.

მოამზადა **ტიტე კოპალეიშვილმა.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მირანლალიანის ოცნების კოშკი

# „...თუნდ ერთი წვეთი, ოღონდ იყოს ნაღდი ქართული!“





„მირანლალიანი“, — ასე ჰქვია მირან ფალიანისა და ლალი აბშილავა-ფალიანის ლექსების კრებულს, რომელიც „ქართულმა წიგნმა“ გამოსცა. წიგნი ცოლ-ქმრის, ჩვენი კოლეგებისა და მეგობრების შემოქმედებას აერთიანებს და იმათ სულიერ მუზას გვაზიარებს. წიგნის რედაქტორია ნინო სიხარულიძე, მხატვარი — მირან ფალიანი. კომპიუტერული უზრუნველყოფა — გოჩა სოზიაშვილი. წინასიტყვაობაში რედაქტორმა ნინო სიხარულიძემ ამ კრებულს „მოფერების წიგნი“ უწოდა, რომელიც გულგრილობითა და დაუნდობლობით აღსავსე ჩვენს დროში სიყვარულისა და სიმშვენიერის ნამდვილი ოაზისია. მირან ფალიანის პოეზია „უაღრესად რაინდული, მარადიული ლტოლვით აღბეჭდილი და ერთგულების შარავანდედით შემოსილია, როცა მისი ადრესატი ლალი აბშილავა-ფალიანია, პოეტის ერთადერთი სიყვარული, რომლის სახეში გაერთიანდა მარადიული სატრფო, მეგობარი, მეუღლე და შვილების, ორი შესანიშნავი ვაჟკაცის დედა. სწორედ ამიტომაა მირან ფალიანის ლექსი ხან მქუხარე, ქუდზე კაცის მომხმობი და მოყვასის პირში მძრახველი, ხან ამქვეყნიურ ამაობაში დარწმუნებული და ლოცვასთან გათანაბრებული“, — წერს ნინო სიხარულიძე.

**„ბოლომდე შევრჩით**
**ჩვენ ლამაზ ზღაპარს,**
**ჩვენს გზას თან**
**სდევდა ბევრი წამება,**
**შენ დედოფალი იყავი**
**მარად,**
**მე კი — რიგითი**
**პრინცი, თავნება“...**

მიწა დამძიმდა, ცხოვრების გზებზე ჩრდილები მომრავლდა, „დრო უსაშველოდ უნდოა და გახუნდა ფერი“. მირან ფალიანისთვის ჩალის ფასი აქვს ყოველივე წარმავალს, სვანეთის გოლიათ მთებთან მარტოსულის მზის საგალობელი ზიარებაა უფალთან:

**„ვმღერი „ჰარალოს“ და**
**ცრემლები წყდება**
**წამწამებს, ცხოვრება ჩემი,**
**ვით მშიერი ლეკვი წკავწკავებს.**
**თმაში გამიჩნდა სარეველა ათასი ღერი,**
**მზის საგალობელს „ლილეოსი“**
**მარტოკა ვმღერი,**
**ვმღერი და გულზე მაბიჯებენ**
**უცხო ფეხები —**
**აქ გავიყინე, ამას იქით ვერ ვიხედები“...**

ამ სამყაროში, სადაც „ძეძვმორეულ მიტოვებულ ბაქანს“ ემსგავსები, მართლა ძნელია პრინცობა.

დარდიანია ღამის მგზავრული, ძველებურად ველარ მზეობს მზე და გზებს ყინული დაფენია, ჩასაფრებულია მტერი ვერაგი, „დრომ მიიბარა წარსულის ფერი“, დასაბრუნებელია სოხუმი და რიწა, და „სულის გაწრუპულ, გამშრალ მათარებს იყუდებს აწმყო უგვან ხვალეში“... ტკივილი გაუსაძლის ტკივილად რჩება, ქართული სიტყვის მადლი დღითი დღე ქრება...

მირან ფალიანის ლექსთა „მგზავრულს“ სიყვარულისა და რწმენის სურნელი ახლავს თან:

**„ხან ზვარაკი ვარ შეწირული, ხანაც მისანი,**
**ქართული სული შემრჩა ძველი და უშიშარი“.**

პოეტს სჯერა, რომ მართალია სამყაროში ჩვენ ყველაზე მცირენი ვართ, „მაგრამ მაინც ვერ ჩაგვიტანს ზვავი“... უფალი, სამშობლო, ოჯახი ის სამებაა, რომლისთვისაც უნდა იცოცხლო და დაიხარჯო. ამ გზაზე მავალს აძლიერებს და სულს ულამაზებს მეუღლის — ლალი აბშილავას სიტყვა:

**„თმები — შოლტები“ რომ გამითეთრო,**
**ლექსების გუნდა ესროლე მირზას,**
**ოცნების კოშკი რომ გამიმთელო,**
**უგონოდ უნდა გიყვარდე — მირან!“**

მის გზასავალს ლექსების ქუჩა ჰქვია, სადაც ლექსის ქოხი დგას, გული ღიაა, ჩიტივით ფრენს... სულში კი სიყვარულის ღიღილო ამოსულა ეკალ-ბარდებზე... პოეტისთვის არარაობაა ოქრო-ვერცხლის ქისა, რადგან „მეარღნის და ფიროსმანის ბედი წუთისოფლის ერთ ქეიფად ღირდა“. მან არ ულალატა სინდისს და ნამუსს, ულექსოდ წუთით არ უცხოვრია:

**„ღარიბი ვარ და მდიდარი მქვია,**
**ლეთაზე ჩემი მიცდის ბორანი“...**

ლალი ფალიანის ფაქიზი, ლირიკული სტრიქონები თავს დასტრიალებს თბილისს, მის ულამაზეს ქუჩებს, ეს პოეზია „ძალიან უშუალოდ გვესაუბრება, — ესაა სულიერად არისტოკრატი, დიდბუნებოვანი ქალის აღსარება მკითხველის წინაშე“.

„პოეტი თავის საუკეთესო ლექსს უნდა ჰგავდეს, თავისივე შემოქმედების ღირსი უნდა იყოს, ფალიანების ოჯახის ცხოვრების წესი სწორედ ამის დადასტურებაა — აქ სიტყვა და საქმე არასოდეს შორდება ერთმანეთს, ურთიერთობის საფუძველი კი უანგარო სიყვარულია, და არა პრაგმატული, გულცივი ანგარიში“, — ისევ ნინო სიხარულიძის სტრიქონებს მოვიტან და დავძენ, რომ გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარე პატარა სახლში სწორედ ეს უანგარო სიყვარული — სულიწმინდის მადლი და სიხარულია თქვენი მასპინძელი... და სანამ „მთვარისფრად ელავს ისევ მეტეხი“ და უფლის მაცნე მტრედების გუნდი მოჩანს მის თავზე, პოეტის „დაღონებულ და დაკაწრულ“ სულს მაინც მოაქვს შვიდფერი მუზის ჩამონატეხი:




**„მოდგმავ, დავითის,**
**ანბანთქებავ,**
**ქართველთ დიდებავ —**
**თუ გაგიჭირდა,**
**გავეგებით ერთურთს ხიდებად,**
**იქნებ გადარჩეს ამდენ შხამში**
**სისხლი მარხული,**
**თუნდ ერთი წვეთი,**
**ოღონდ იყოს ნაღდი ქართული!“..**

მირან ფალიანის ეს ვაჟკაცური ამოძახილი იქნება მკითხველის იმედის გადამრჩენი ამ წიგნთან ზიარების ჟამს!

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ტელევიზია და ჩვენ

# ეკრანით აწრიალებული არცთუ მხიარული ფიქრები

**მთავარი საავტომობილო ხაზის აგარა-ქარელის მონაკვეთზე 20 იანვარს საშინელი ავარია მოხდარა... მიკროავტობუსის მგზავრებიდან 3 ადგილზეა დაღუპული, 9 მძიმედაა დაშავებული. დაჭრილები ჯერ ქარელში გადაუყვანიათ, მერე გორში, საბოლოოდ — თბილისში.**

ღმერთმა გაანათლოს გარდაცვლილთა სულები და კარგად ამყოფოს დაშავებულნი, ოღონდ მე ახლა სხვა კუთხით უნდა შევხედო მომხდარს.

20 იანვრამდე პუბლიკაციაში მიხეილ სააკაშვილს „ჯერ კიდევ პრეზიდენტად“ მოვიხსენიებდი, ამ დღის შემდგომ კი „უკვე აღარ პრეზიდენტს“, ანუ ექსპრეზიდენტს ვუწოდებ ასეულ ათასობით თანამოქალაქესთან ერთად; ჰოდა, ექსპრეზიდენტმა პრეზიდენტობის ჟამს რომ სასმენეთი გაგვიხვრიტა ჩვეული ბაქიაობით — ყველგან ულტრათანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებს შერწყმული საავადმყოფოები და კლინიკები ავაშენეთო, რომლებიც უმაღლესი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალითაა დაკომპლექტებულიო, იმ „ყველგან“-ში ხომ ქარელი და გორიც შედიოდა, მაშ, თბილისში რატომ გამოაქანებენ ხოლმე უბედურებაშემთხვეულებს, ასე ნაქებ „ადგილებზე“ რატომ ვერ ხერხდება კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა? იმ მდგომარეობაში მყოფთ, კიდევ შორ მანძილზე ტრანსპორტირება და ნჯღრევა ეჭირვებათ?..

და კიდევ, „მე ირაკლი მაისურაძე ვარ“ რომ ხარ, შვილო ირაკლი და ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე მყოფი ნათია მღებრიშვილი რომ გადმოგცემს, სამი გარდაცვლილია და ცხრა მძიმედ დაშავებულიო, ასეთ ინფორმაციაზე დიდი მადლობა უნდა გადაუხადო? „ინერციული“ და „ტრადიციული“ მადლობა მსგავს სიტუაციაში უხერხულად ხომ არ გაისმის? დაფიქრებაა საჭირო...

მეორე ამაზე გრძელი მომენტი, ტელეეკრანთან დაკავშირებული. პრესტიჟულ ჩოგბურთს ხომ დასწრებიხართ და თქვენს მოპირდაპირე მხარეს მაყურებლებით სავსე ტრიბუნას ხომ დაკვირვებიხართ — თავები რომ სინქრონულად, კედლის საათის ქანქარასავით ირწევიან მარჯვნივ და მარცხნივ, ბურთის ფრენის კვალდაკვალ — ე, ისეა ზოგიერთი ვითარება ეკრანზე, თანაც საკმაოდ ხშირად „განმეორებადი“: ერთი მხარე ალთას ამბობს, მეორე მხარე — საპირისპირო ბალთას. ახლა, როცა დიდკაცთა დაკავება-„დაგირავება“ ყოველდღიურ მოვლენად ქცეულა (დიდქალთაგან ჯერ მგონი არავინ არ „შეუწუხებიათ“), პროკურატურა რომ 2-3-4 სხვადასხვა პუნქტით წამოაყენებს ბრალდებას და შენ, მაყურებელი, თავს „მარჯვნივ“ გადასწევ, დაცვის ქვეშ მყოფი მისი დამცველი წამოყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და თავს „მარცხნივ“ მოგაღრეცინებენ. ის, რომ ბრალდებული მერე გირაოდებული ხდება, სხვა ამბავია... ადვოკატის ხსენებაზე ზოგ მათგანს, როგორც რუსები ამბობენ, не позавидуешь, მაგალითად, ვანო მერაბიშვილისას, ბაჩო ახალაიასას, ზურაბ ადეიშვილისას (რომელზეც, ბარემ სათქმელად, საქართველოში არ იმყოფებაო, დელიკატურად ამბობენ „საქართველოდან გაქცეულს“ არ აკადრებენ ინტერპოლძებნილს...); ასევე не позавидуещь ექსპრეზიდენტის მომავალ დამცველსაც... ასეთ ხალხს რომ დაუწყებ ვექილობას, აპრიორი მიდიხარ რისკზე, მაგრამ ჯერ ერთი — ფული, ძამიკო, ფული და მეორეც — ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტთა ბელადებს ჰყავდათ დამცველები და ნაცებისას რატომ არ უნდა ჰყავდეთ?..

ბრალდებათა არაღიარებას რაც შეეხება, რა კარგია, რომ ეს „ტრადიცია“ დაარღვია ყოფილმა მთავარმკრებმა ჯაბა (ჯამბულ) ებანოიძემ და ნაწილობრივ მაინც აღიარა დანაშაული. ამ თვალსაზრისით ის პირველი ნაცმერცხალია და კარგი იქნება, თუ სხვა ნაცებიც „ამერცხლდებიან“; და რაკი რუსული ამიტყდა, лиха беда начало-საც გავიხსენებ... სხვათა შორის, „საჩოგბურთო“ სიტუაცია გირაოდებულ ჯაბასთან დაკავშირებითაც შეიქნა: ტელეჟურნალისტები 25 ათას ლარს ასახელებდნენ წინდად, ჯამბულის ადვოკატი — 30 ათასს. ასე „დაიკარგა“ ტელეინფორმატორსა და დამცველს შორის კაი 5 ათასი ლარი — ექსპრეზიდენტის რომელიმე მრჩეველი ქალბატონის თვიური ხელფასის ტოლი. მომიტევოს მკითხველმა უწმაწური ანდაზის გახსენება — ცოლ-ქმარს შორის რომ რაღაცა დაიკარგა, იმისი არ იყოს... (თუმცა, ეგებ არცაა საბოდიშო — „დრომ ახალი ძალით დაჰკრა“ და ახლა რასაა, საჯაროდ რომ არ ამბობენ და არ წერენ...).

...ფოსტის თანამშრომლები პროტესტს გამოთქვამენ — სამსახურიდან ჩვენი გაყრა უნდათ და ტესტებზე დაგვიბარესო. ხელმძღვანელები კი ხელებს შლიან — როგორ გეკადრებათ, უნარ-ჩვევების ამაღლებაზე ვმუშაობთ, არავის არ გავანთავისუფლებთო. ლაგოდეხში სტიქიით დაზარალებულები (აი, სად უნდა ვიხმაროთ ეს ტერმინი, ტელეჟურნალისტებო!) იკრიბებიან — კომპენსაციას გვაკლებენო. გამგებელი კი ამტკიცებს — თანხა უკანასკნელ თეთრამდე იქნება გაცემულიო. ეს მაგალითებიც საჩოგბურთო „სითუეიშნ“-ს განეკუთვნება — მარჯვნივ — მარცხნივ გახედვით.

უფრო ზემოთ, პარლამენტში ხომ ნურც იკითხავთ — „პინგ-პონგი“ იქ მიდის, თუ მიდის. გამოვა ყოფილი „უარესობელი“ და აწინდელი „უმწირესობელი“ და დაიწყებს მტკიცებას: მავანი და მავანი კახაბერიაო. წამოუდგება ქაროცნელი და უპასუხებს: მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არ არის კახაბერი, მას ვერ ვიტყვი კახაბერადო...

„ძველი სტილით“ ამხანაგებო და „ახალი წელთაღრიცხვით“ ბატონებო, ქვემოთაც და ზემოთაც — ნუ დაგვღალეთ თავების ქანქარით და თვალების აქეთ-იქით ცეცებით — სიცრუე ბევრნაირია, ჭეშმარიტება ერთადერთია და მეტი პატივისცემით მოეკიდეთ ტელეაუდიტორიასაც და „ისე“ პუბლიკასაც, ხოლო მეტი პასუხისმგებლობით — საკუთარ თავს. მეტად თვითკრიტიკული იყავით და აღიარებელი და ეს განსაკუთრებით თქვენ გეხებათ, ნაცებო, რადგან ცდებით და ცდებით, დაჭერას ვინც არ მოელით წამისად...

ერთ „ტელეეპოზიდსაც“ შევეხები და დავასრულებ, თორემ ჩემთვის უჩვეულოდ გამირეზინდა — გამიჭიაყელდა სათქმელი თუ საწერი.

20 იანვარს „იმედმა“ მომხიბლავი ქალბატონისა და მშვენიერი მომღერლის ლიზა ბაგრატიონის შთამბეჭდავი კონცერტი გადმოსცა. შთაბეჭდილებათა გამზიარებლებს შორის ეკრანზე პოლიტიკურად ფრიად ცნობადი, ფიზიკურად გვარიანად ჩასუქებული სახეც გამოჩნდა გამოჩენილი ნაცის გოკა გაბაშვილისა, რაც ცოტა გამიკვირდა; ეგ მიტომ, რომ ჯერ ერთი, თუ არ მეშლება, ლიზა-ქალბატონი ნაცებისადმი (ოქტომბერში ნაცემისადმი...) განსაკუთრებული სიმპათიით არ გამოირჩევა; მეორეც — ისეთმა დღენიადაგ ქვეყანასა და ხალხზე მოფიქრალმა დიდმა პოლიტიკოსმა, როგორიც ეს ქართველი მირაბოა (გოკა გაბაშვილზე მოგახსენებთ), კონცერტზე დასასწრებად რომ მოიცალა... ასე იყო თუ ისე, მე პირადად დიდი ხნის სიგრძეზე პირველად ვიხილე არა ნაცურად, არამედ კაცურად, უბრალოდ, ადამიანურად მოლაპარაკე... არადა, აქამდე მტკიცედ მეგონა, რომ „ნაცადი დარჩა ნაცადა, მზაკვრობა არ მოსწყინდების, გოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოსდინდების“...

**ბერდია ბედოიძე.**

◎ პოეტის ერთი ლექსი

**ანზორ აბულაშვილი**

# ორიათას მეცამეტე წელს...

რა ლამაზი მოდიოდა ქალი,
რა ლამაზად მოარხევდა წელს,
თოვლზე მისი იხატვოდა კვალი —
ორიათას მეცამეტე წელს.
ყოველს აფერადოვნებდა
ყველასათვის ამ სანატრელ დღეს
და გვიწერდა ზეციერი ოდას
ორიათას მეცამეტე წელს.
და იმ თოვლში ცეცხლის ალი
ასხივებდა დამათრობელ ფერს —
ყველაფერი იხატვოდა ყალმით
ორიათას მეცამეტე წელს.

**14 იანვარი, 2013 წელი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს და რუსეთის პრემიერები დავოსში ერთმანეთს შეხვდნენ

## დიმიტრი მედვედევისა და ბიძინა ივანიშვილის გზებმა საერთაშორისო ფორუმის დროს „შემთხვევით გადაკვეთეს ერთმანეთი“

**ყოველწლიურ ეკონომიკურ ფორუმზე შვეიცარიის დავოსში გაიმართა რუსეთის პრემიერ-მინისტრის დიმიტრი მედვედევისა და მისი ქართველი კოლეგის ბიძინა ივანიშვილის ხანმოკლე შეხვედრა. მიუხედავად ორივე მხარის სურვილისა, წარმოადგინონ ეს შეხვედრა, როგორც შემთხვევითი, ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ რუსეთ-საქართველოს პირველი კონტაქტი „ხუთდღიანი ომის“ შემდეგ ასეთ მაღალ დონეზე წინასწარ იყო შეთანხმებული და სავსებით ეწერება საქართველოს ხელისუფლების ახალ პოლიტიკაში რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.**



დიმიტრი მედვედევთან შეხვედრის წინა დღეს ქართველმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს ბიძინა ივანიშვილის, ხომ არ აპირებს იგი ესაუბროს რუსეთის პრემიერ-მინისტრს, თუ მათი გზები ერთმანეთს გადაჰკვეთს დავოსში. „ჩვენ შეხვედრის შესახებ არ მოვლაპარაკებივართ, თუმცა, ყველაფერი შესაძლებელია“, — უპასუხა ბატონმა ივანიშვილმა. მან უმალვე შენიშნა, რომ, თუ შეხვედრა მაინც გაიმართება, „ჟურნალისტები და საზოგადოებრიობა უმალვე გაიგებენ ყველა მისი დეტალის შესახებ“.

ჩვენი მონაცემებით, ორი ლიდერის საუბარი სულ რამდენიმე წუთი გრძელდებოდა და მათ ძნელად რომ შეძლებოდათ, განეხილათ სერიოზული თემები. საქართველოში დარწმუნებული არიან, რომ, მართალია ბიძინა ივანიშვილის დიმიტრი მედვედევთან კონტაქტი უმეტეს წილად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ საეჭვოა, რომ იგი შემთხვევითი ყოფილიყო. „ასეთი „შემთხვევითი“ შეხვედრები უმეტესწილად მართლაც არასოდეს არის შემთხვევითი“, — განაცხადა დიპლომატიური აკადემიის ყოფილმა რექტორმა იოსებ ცინცაძემ. ექსპერტის აზრი, შეთანხმება კონტაქტის შესახებ მიღწეული იქნა წინასწარ, უბრალოდ მხარეებმა გადაწყვიტეს, არ გაეკეთებინათ მისი აფიშირება გარკვეულ პერიოდამდე.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრა დავოსში გაიმართა მოსკოვში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელის ილია მეორის ჩასვლასთან ერთდროულად. პრეზიდენტ პუტინთან საუბრის დროს საქართველოს პატრიარქმა რუსეთის ლიდერს გადასცა „დიდი სალამი საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრისგან“. ამ ახალმა ამბებმა უკვე გამოიწვია შეშფოთება პრეზიდენტ სააკაშვილისა, რომელმაც ბატონი ივანიშვილის ნაბიჯებში დაინახა „საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლის სიმპტომები“.

სახელმწიფო კანცელარიაში გვაცნობეს, რომ ბიძინა ივანიშვილი „ერთგულია თავისი ვალდებულებებისა, აწარმოოს გამჭვირვალე პოლიტიკა რუსეთთან დაკავშირებით და თავად ისაუბრებს დაწვრილებით შეხვედრის დეტალებზე ქართულ საზოგადოებრიობასთან“.

Коммерсант

# გზაჯვარედინზე კოალიციაში

**ირაკლი ალასანიას გადადგომა ვიცე-პრემიერის პოსტიდან ოპოზიციამ დაუკავშირა მის საპრეზიდენტო ამბიციებს. მიუხედავად ამისა, ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ ალასანია დატოვებს მმართველ კოალიციას. ეს გახდებოდა საბაბი რევანშის მცდელობისთვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხრიდან, ალასანია კი ამით არ არის დაინტერესებული.**

ირაკლი ალასანია თავად არის დამნაშავე თავის გადადგომაში ვიცე-პრემიერის პოსტიდან. ამის შესახებ ხუთშაბათს განაცხადა პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი გაბაშვილმა. მისი სიტყვებით, ალასანია გაათავისუფლეს მსჯელობისთვის თავის შესაძლო მონაწილეობის შესახებ პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც ოქტომბრისთვის არის დანიშნული.

წინა დღით ცნობილი გახდა, რომ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ კვირის დასწყისში გაათავისუფლა ალასანია თავისი მოადგილის თანამდებობიდან. მიუხედავად ამისა, მან დატოვა იგი თავდაცვის მინისტრის პოსტზე. ალასანია, ამას გარდა, სათავეში უდგას პარტიას „თავისუფალი დემოკრატები“, რომელიც მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შედის.

თავის მხრივ, პრემიერმა გულღიად განმარტა, რომ მასსა და ალასანიას შორის მოხდა გაუგებრობა, რისი მიზეზიც გახდა თანაპარტიელებთან მსჯელობა პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის დასახელების შესაძლებლობის შესახებ კოალიციასთან შეუთანხმლებლად, რომელიც რჩება ერთიანი. „მოხდა ელემენტარული გაუგებრობა, რაც შეიძლება ნებისმიერ პოლიტიკოსს შეემთხვას. მან თავის გუნდში, ვიწრო წრეში დაიწყო საკითხის განხილვა — შეეძლო თუ არა წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე. ამით ირაკლიმ პატარა შეცდომა დაუშვა... თუ მას სურვილი ჰქონდა, ჩემთვის უნდა ეთქვა პოლიტსაბჭოზე, და არა თავის გუნდში. აი რამ გამოიწვია გაუგებრობა. ზოგჯერ ასეთი რამ ხდება... თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ არ ხდებოდეს... ამის შემდეგ ჩვენ გვქონდა მეტად მეგობრული საუბარი“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ამასთან ერთად მან მიუთითა, რომ „კოალიციაში ჯერჯერობით არ განიხილება ახალი კანდიდატურა ვიცე-პრემიერის პოსტზე“.

თავად ალასანიამ გადადგომის წინა დღეს ტელეინტერვიუში აღიარა, რომ მას ივანიშვილთან ჰქონდა „მძიმე საუბარი“ მის საპრეზიდენტო ამბიციებთან დაკავშირებით. „ბიძინა ივანიშვილი შეშფოთებულია იმით, რომ პრეზიდენტის კანდიდატობის შესახებ საკითხის განხილვა მიმდინარეობდა მასთან, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერთან, შეუთანხმებლად. მე ასევე მიმაჩნია, რომ ეს საკითხი მასთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო“, — თქვა ალასანიამ და დაუმატა, რომ გადაწყვეტილება მისი ვიცე-პრემიერის მოვალეობებისგან გათავისუფლების შესახებ „მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა“.

უკვე მას შემდეგ, რაც პრემიერის გადაწყვეტილება გამოქვეყნდა, ალასანიამ განაცხადა, რომ ეს მას საშუალებას მისცემს მთელი ყურადღების კონცენტრირება მოახდინოს თავდაცვის უწყების რეფორმაზე. „თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება, იყო მასში და ამ დროს დაკავებული იყო რაღაც სხვა საქმითაც. გადაწყვეტილება მიიღო პრემიერ-მინისტრმა და მე, ბუნებრივია, ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას“, — განუცხადა ალასანიამ ტელეკომპანია „იმედს“.



იანვრის დასაწყისში ალასანიამ საჯაროდ არ გამორიცხა, რომ გახდება პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი მმართველი კოალიციისგან. ივანიშვილმა ამაზე ერთი კვირის შემდეგ მოახდინა რეაგირება სიტყვებით იმის შესახებ, რომ კოალიციაში ეს საკითხი „ჯერჯერობით არ განხილულა“. „თუ ალასანია მოინდომებს, ამის უფლება მას აქვს, მაგრამ კოალიციაში ეს საკითხი არ განხილულა“, — ამბობდა პრემიერი, რომელიც პრეზიდენტის სავარძელზე „საუკეთესო კანდიდატად“ ასახელებდა ნაკლებად ცნობილ პოლიტიკოსს — პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელს ვახტანგ ხმალაძეს.

ხუთშაბათს ივანიშვილი იმყოფებოდა ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში, სადაც რუსეთის დელეგაციას სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი. ერთ-ერთმა რუსმა ბიზნესმენმა „რია-ნოვოსტის“ აცნობა, რომ წინა დღით — მიღებაზე ფორუმის სტუმრების პატივსაცემად — მედვედევი ესაუბრა ივანიშვილს.

„ქართველი პრემიერი თავად მივიდა მედვედევთან და ისინი რაღაცაზე საუბრობდნენ რამდენიმე წუთით“, — თქვა ბიზნესმენმა. ეს გახდა პირველი ურთიერთობა მთავრობათა ხელმძღვანელებისა იმ ქვეყნებისა, რომელთა შორისაც დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა თბილისის ინიციატივით 2008 წლის აგვისტოში კონფლიქტის შემდეგ.

სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივანმა ნატალია ტიმაკოვამ შენიშნა, რომ ასეთი დიდი ფორუმების დროს ტრადიციულად ხდება მრავალი კონტაქტი მონაწილეთა შორის სხვადასხვა ქვეყნებიდან.

დავუმატებთ, რომ წინა დღით პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომელმაც მას ივანიშვილის მისალმება გადასცა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**მედვედევმა დავოსში მხიარულად იხუმრა „გუგლის“ დამფუძნებლის დაპატიმრების და რუსული რეპრესიების შესახებ**

თავისი გამოსვლით ინვესტორების წინაშე დიმიტრი მედვედევმა ვერავინ მოხიბლა, ირწმუნება დასავლეთის პრესა, სამაგიეროდ უცხოელებთან იყო ძალიან თავისუფალი და ხუმრობდა კიდეც რეპრესიულ სახელმწიფოზე და დამარხულ დემოკრატიაზე. რუსეთის ფედერაციის პრემიერს შეხვდნენ განსაკუთრებული პატივისცემის გარეშე: ფრაზაზე „უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გამოკვებოს რუსეთმა მსოფლიო“, ანონიმმა დარბაზიდან მას უპასუხა: „ოღონდ არ იყოს დაპირებები“.

* * *

**ბუზის დაბრუნება: ბარაკ ობამას კვლავ შეუტიეს ამერიკელების თვალწინ**



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი მწერების საგანგებო სიმპათიის პირველი დოკუმენტური დამოწმებანი თარიღდება 2009 წლით. მაგრამ არის აზრი, რომ მათი ურთიერთობის ისტორია გაცილებით დიდი ხნისაა. „ის ხომ კენიიდანაა“, — გესლს ანთხევს ინტერნეტ-მომხმარებელი. და ასახელებს უფრო საშიშ თეორიას: „ველზეული, ბუზების მბრძანებელი“.

* * *

**ტაილანდში ნახეს ჩამომხრჩვალი რუსი ტურისტი — პოლიციის მონაცემებით, დიდი ბიზნესმენის შვილი**



გამოძიება აღნიშნავს, რომ მანგოს ხესთან, რომელზეც აღმოაჩინეს 25 წლის რუსეთელის სხეული, იმყოფებოდა მოტოციკლი. მის საჯდომზე დარჩა დალეწილი ახალგაზრდა კაცის ფეხსაცმლის კვალი. ამ სამხილს ეყრდნობა ვერსია სუიციდის შესახებ. დაადგინეს, რომ ის იტანჯებოდა დისთიმიით.

* * *

**ტიმბუქტუ „ქალაქ-აჩრდილად“ გადაიქცა: იქიდან ბოევიკები წავიდნენ**

თვითმხილველთა მტკიცებით, ისლამისტები მცხოვრებლებს უზრუნველყოფდნენ წყლითა და ელექტროენერგიით, აწვდიდნენ სათანადო საწვავს გენერატორისთვის. „მაგრამ მათი წასვლით ტიმბუქტუმ დაკარგა ერთიც და მეორეც“. საფრანგეთის ავიაცია კვლავ აგრძელებს მალიში ისლამისტების პოზიციების წერტილების მიხედვით დაბომბვას. ერთი დაჯგუფება უკვე გამოეყო ტერორისტებს და მშვიდობას ითხოვს.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების**
**მეორე პროექტი ( SLRP II ) (P122204)**
**სატენდერო მოწვევა № SLRP II/CW/NCB-05**

## შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის **იგოეთი-ლამისყანა-ახმაჯი საავტომობილო გზის კმ.0+422-კმ.9+352 მონაკვეთის** სარეაბილიტაციო სამუშაოები

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტისთვის (SLRP II). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იგოეთი–ლამისყანა–ახმაჯი გზის კმ.0+422-კმ.9+352 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშოების განსახორციელებლად და საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მიერთებების, გზაჯვარედინებისა და გზის კუთვნილება-მოწყობილობების სარეაბილიტაციოდ დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია 17 თვე.

3. სამუშაოების წინასწარი ღირებულება შეადგენს 3,759,127.47 ლარს ყველა სახის გადასახადის და სახელმწიფო მოსაკრებელის ჩათვლით, როგორც ეს წარმოდგენილია ინსტრუქციის 14.7 ქვეთავში. თუმცა, ტენდერში მონაწილის პასუხმისმგებლობაა წარმოდგენილი სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს წინასწარ ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებაზე.

4. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსს ბ-ნ ილია მესხიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 4,000,000 (ოთხი მილიონი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 3,000,000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 30,000 $მ^2$ ასფალტ-ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება უკანასკნელი 5 წლიდან რომელიმე ერთი წლის განმავლობაში მინიმუმ 1 კონტრაქტის ფარგლებში;

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 700,000 (შვიდასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში: ნაწილი III – შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, პარაგრაფი 1.6.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან აშშ დოლარში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის 3 200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის 3 001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მიუთითეთ სჰგზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2013 წლის 25 თებერვლის 17:00 საათისა** ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2013 წლის 25 თებერვლის 17:00 სთ-ზე** ადგილობრივი დროით.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს პუნქტს ITB 19.8, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი 312, 0160 თბილისი, საქართველო
შესყიდვების სამმართველო, IV სართული
ბ-ნი ილია მესხიშვილი, შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი
ტელ: ( (995 322) 37-05-08, დამ. 305
ფაქსი: ( (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

Georgia
Second Secondary and Local Roads Project (SLRP II) (P122204)
Bid Invitation No: SLRP II/CW/NCB-05

## Igoeti-Lamiskana-Akhmaji
### Rehabilitation Works of Road Section km0+422-km9+352

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Second Secondary and Local Road Project (SLRP II) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for rehabilitation works of secondary road Igoeti-Lamiskana-Akhmaji km0+422-km9+352 section.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement, structures, junctions, intersections and road facilities. Implementation period for execution of construction works is 17 months.

3. The estimated cost of proposed works is **GEL 3,759,127.47**, including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

4. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

6. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Average annual construction turnover of at least 4,000,000 GEL (Four Million Georgian Laris) or equivalent over the last 3 (three) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 5 (five) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 3,000,000 GEL (Three Million Georgian Laris);

c. At least 30,000 $m^2$ of asphalt-concrete pavement rehabilitation executed in any one year during the last five (5) years.

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 700,000 GEL (Seven Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent.

f. Additional qualification criteria are applicable as indicated in the Bidding Document: Section III – Evaluation and qualification criteria, item 1.6.

7. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

8. The Bids should be delivered at the address below not later than **February 25, 2013, 17:00** Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on, **February 25, 2013, 17:00** Hours local time.

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Procurement Department, IV Floor
Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge




PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„თეთრი“ სპეცოლიმპიადა

# პიონგჩანგი უმასპინძლებს



**დიდი ხანია, შეზღუდული შესაძლებლობის სპორტსმენებისთვის საინტერესო სპორტული ღონისძიებები ეწყობა. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ისინი ზამთრის სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ, ეს უკანასკნელი კი სპორტისა და ფიზიკური კულტურის მეშვეობით შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისა და ახალგაზრდების რეაბილიტაციას და საზოგადოებასთან მათ სოციალურ ინტეგრაციას ემსახურება.**

ქართველები მსგავს პაექრობებში 2005 წლიდან ჩაებნენ. რვა წლის წინათ იაპონურ ნაგანოში სნოუბორდისტმა ვლადიმერ ნაზღაიძემ სამი ოქროს მედალი დაიმსახურა, გიორგი სანაკოევმა გიგანტური სლალომისა და სწრაფდაშვების ჯამში ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ამავე სახეობაში ნიკოლოზ კიკნაძეს ბრინჯაო ერგო. ოთხი წლის შემდეგ გიორგი სანაკოევმა წარმატება აიდაჰოს შტატის (აშშ) ქალაქ ბოისში გაიმეორა, ხოლო ნიკოლოზ კიკნაძემ მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო. გამოცდილი სპორტსმენები წლეულს 29 იანვრიდან 5 თებერვლამდე პიონგჩანგში ზამთრის მსოფლიო მე-10 სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებშიც იასპარეზებენ და არც იქიდან აპირებენ ხელცარიელ დაბრუნებას. მათთან ერთად მოსინჯავს ძალებს მსგავსი შეჯიბრებების დებიუტანტი მარიამ ხუციანიძე. 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქ პიონგჩანგში (სამხრეთი კორეა) 113 ქვეყნის 2300-მდე ქალ-ვაჟი მოიყრის თავს. საქართველოდან სამხრეთ კორეაში 6-კაციანი დელეგაცია (ხუციანიძე, სანაკოევი, კიკნაძე, მწვრთნელი ზაზა იაშვილი, ექიმი გიორგი დუღაშვილი) გაემგზავრება სპეციალური ოლიმპიადის ეროვნული დირექტორის **ჟანეტა გოცირელის** ხელმძღვანელობით.

**გივი გაგუა**

**სურათზე: მარცხნიდან — ზაზა იაშვილი, ნიკოლოზ კიკნაძე, მარიამ ხუციანიძე, გიორგი სანაკოევი, ჟანა გოცირელი და გიორგი დუღაშვილი.**

ფეხბურთი

# ისინი სეზონს გახსნიან

**საქართველოს ეროვნული ნაკრები 2013 წელს პირველ საერთაშორისო შეხვედრას 6 თებერვალს ალბანეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებს. თამაშს ტირანას სტადიონი „ქემალ სტაფა“ უმასპინძლებს.**

**ქვეყნის პირველი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელები დაასახელა:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია, ნუკრი რევიშვილი, როინ კვასხვაძე,.

**მცველები:** გურამ კაშია, ზურაბ ხიზანიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, უჩა ლობჟანიძე, გია გრიგალავა, დავით კვირკველია, გულვერდ თომაშვილი, ილია კანდელაკი, მამუკა კობახიძე.

**ნახევარმცველები:** ბუბა დაუშვილი, ლევან ყენია, სანდრო კობახიძე, ჯაბა კანკავა, თორნიკე ოქრიაშვილი, დავით თარგამაძე, ნიკა ძალამიძე, ჯანო ანანიძე, ირაკლი ძარია.

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე, მათე ვაწაძე.

ჩვენი ეროვნული გუნდი ალბანელებს პირველად 1994 წლის 12 დეკემბერს ტირანაში დაუპირისპირდა. ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ევრო 96-ის საკვალიფიკაციო თამაში შოთა არველაძის ერთადერთი გოლით მოიგო. მას შემდეგ ამ ორი გუნდის გზები 11-ჯერ გადაიკვეთა: ჩვენმა გუნდმა 6 თამაში მოიგო, 2 ფრედ დასრულდა, 3 მატჩში კი ალბანელებმა გაიმარჯვეს. ბურთების საერთო შეფარდება საქართველოს ნაკრების სასარგებლოდაა: 18:9.



**ბოლოს მეტოქეები შარშან, 29 თებერვალს, თბილისში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს:** მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული ამხანაგური თამაში თემურ ქეცბაიას გუნდმა სანდრო კობახიძის და ალექსანდრე ამისულაშვილის გოლებით 2:1 მოიგო. ჩვენი ნაკრები ალბანელებთან 2005 წლის 4 ივნისის შემდეგ აღარ დამარცხებულა — მაშინ ალენ ჟირესის გაწვრთნილი საქართველო გერმანია 2006-ის შესარჩევ ტურნირში 2:3 დამარცხდა, შარშან გამართულ მატჩამდე კი ტირანაში შემდგარი ორი ამხანაგური პაექრობა ფრედ დასრულდა.

**ალბანელებთან თამაშის შემდეგ ჩვენს გუნდს ბრაზილია 2014-ის შესარჩევი ტურნირის მატჩი ელის:** 22 მარტს საქართველოს საფრანგეთი უმასპინძლებს.

**გიორგი შოთაძე**

წყალბურთი

# წაგებებს ბოლო არ უჩანს

**საქართველოს სამგზის ჩემპიონი წყალბურთში „ლიგამუსი-თბილისი“ ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტია. ცხადია, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილებაც არ ჰყოფნის, მაგრამ მისგან ასეთ წარუმატებელ გამოსვლას მაინც არ ველოდით: განვლილ რვა ტურში ჩვენმა გუნდმა გათამაშების ცხრილში ერთადერთი ქულის ჩაწერა მოახერხა.** ბოლო პაექრობა ქართველ წყალბურთელებს ვოლგოგრადში „სპარტაკთან“ ჰქონდათ. ამ გუნდების პირველი წრის ორთაბრძოლა თბილისში სტუმრებმა მოიგეს 7 ბურთის სხვაობით 15:8.



ლიგამუსელებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, ლევან ჩიქვინიძე, ალექსანდრე რუსიშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, ალექსანდრე ურუშაძე, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ბექა ქავთარაძე, გიორგი ქართველიშვილი, მთავარი მწვრთნელი რევაზ ჩომახიძე) განმეორებითი შეხვედრა ვოლგოგრადშიც დათმეს — 6:12 (2:4, 1:1, 3:4, 0:3).

A **ჯგუფში** მე-8 ტურის დანარჩენი ორი დაპირისპირება ასე დამთავრდა: „ვასპო-98“ (ჰანოვერი) — „ეგერი“ (უნგრეთი) 4:13, „შუურმანი“ (ჰოლანდია) — „ვულიაგმენი“ (საბერძნეთი) 3:15.

**რვა ტურის შემდეგ:** „ვულიაგმენი“ — 21 (107:42), „სპარტაკი“ — 21 (93:50), „ეგერი“ — 18 (111:54), „შუურმანი“ — 6 (48:98), „ვასპო-98“ — 4 (37:88), „ლიგამუსი-თბილისი“ — 1 (47:111).

**6 თებერვალს ითამაშებენ:** „ეგერი“ — სპარტაკი“, „ვულიაგმენი“ — ვასპო-98“, „ლიგამუსი“ — შუურმანი.

B **ჯგუფი.** „მონპელიე (საფრანგეთი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) 8:16, „კროსლინგენი“ (შვეიცარია) — „დუბროვნიკი“ (ხორვატეთი) 5:30.

„დუბროვნიკი“ — 21 (119:35), „ცრვენა ზვეზდა“ — 12 (77:51), „ოლიმპიაკოსი“ — 9 (54:50), „მონპელიე“ — 6 (59:82), „კროსლინგენი“ — 0 (38:129).

**6 თებერვალი**. „ოლიმპიაკოსი“ — „მონპელიე“, „კროსლინგენი“ — „ცრვენა ზვეზდა“.

C **ჯგუფი.** „ვოივოდინა“ (ნოვი სადი) — „სინთეზი“ (ყაზანი) 6:6, „მარსელი“ (საფრანგეთი) — „ბარსელონეტა“ (ესპანეთი) 11:10.

„ბარსელონეტა“ — 15 (60:38), „ყაზანი“ — 10 (67:63), „მარსელი“ — 9 (63:73), „ვოივოდინა“ — 7 (46:59), „ბრეშა“ — 6 (52:55).

**2 თებერვალი.** „ბრეშა“ — „მარსელი“, „ბარსელონეტა“ — „ვოივოდინა“.

D **ჯგუფი.** „შპანდაუ-04“ (გერმანია) — „გალათასარაი“ (თურქეთი) 8:11, „ორადეა“ (რუმინეთი) — „პარტიზანი“ (ბელგრადი) 5:10.

„ბეტონი“ — 15 (53:41), „პარტიზანი“ — 13 (51:41), „გალათასარაი“ — 10 (52:53), „ორადეა“ — 6 (61:68), „შპანდაუ-04“ — 3 (52:66).

**2 თებერვალი**. „ბეტონი“ — „ორადეა“, „პარტიზანი“ — „შპანდაუ-04“.

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# ოთხი რჩეული

**ეროვნული თასის გათამაშების ნახევარფინალის ოთხივე მონაწილე ცნობილია. „არმიას“, „შსს-აკადემიას“ და „ქუთაისს“ „ოლიმპი“ შეუერთდა. სპორტის სამინისტროს გუნდმა ბოლო მეოთხედფინალურ მატჩში „დინამო“ 82:61 დაამარცხა.**



ამით ნახევარფინალური წყვილები საბოლოოდ დაკომპლექტდა. მანამდე „არმიამ“ მეოთხედფინალიდან ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი გამოთიშა, ხოლო „შსს-აკადემიამ“ თსუ-ს აჯობა. დაძაბული გამოდგა „ქუთაისისა“ და „რუსთავის“ მეოთხედფინალური დაპირისპირება, რომელიც თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და საბოლოოდ იმერული კლუბის გამარჯვებით — 77:73 დასრულდა.

„ოლიმპმა“ 2 დღის წინათ საკანდელიძე-ქორქიას მემორიალი მოიგო და თასის გათამაშებაც მძლავრად დაიწყო. თუ არ ჩავთვლით მესამე მეოთხედში ჩავარდნას, გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა დინამოელებს ყველა კომპონენტში აჯობა.

გადამწყვეტ მომენტში შესანიშნავად ითამაშეს მიხეილ ბერიშვილმა, გიორგი გულისაბედაშვილმა, სტეფან მილოშევიჩმა და კოკა ტომარაძემ. ბოლო პერიოდი „ოლიმპმა“ 30:15 მოიგო და დიდი სხვაობით იმარჯვა. 20 ქულით ბომბარდირი მიხეილ ბერიშვილი გახდა, 16 ქულა დააგროვა მილოშევიჩმა, ხოლო ტომარაძემ და გულისაბედაშვილმა პირად ანგარიშზე 10-10 ქულა ჩაიწერეს. რაც შეეხებათ დინამოელებს, საუკეთესო 23 ქულის მომხვეჭი ფლინ კაიმანი გახლდათ, ხოლო ბექა ჩიკვილაძე 15 ქულით გამოირჩა.

დღეს ბავშვთა საკალათბურთო აკადემია ნახევარფინალებს უმასპინძლებს: „არმია“ — „შსს-აკადემია“ 16 საათზე დაიწყება, ხოლო „ქუთაისისა“ და „ოლიმპის“ დუელი 18 საათისთვისაა დანიშნული.

**არმია-სტუ 115:66,**
**შსს აკადემია — თსუ 85:62,**
**რუსთავი-ქუთაისი 73:77,**
**ოლიმპი — დინამო 82:61.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

ევროლიგა

# მცირედი ორმაგ დუბლამდე და მოგება ყოფილ გუნდთან

**საქართველოს ნაკრების მეფარემ გიორგი შერმადინმა ევროლიგის მიმდინარე გათამაშება თელ ავივის „მაკაბიში“ დაიწყო, მაგრამ სეზონის მსვლელობისას ებრაელთა დამრიგებელმა დევიდ ბლატმა იგი გუნდიდან გაუშვა და გიორგიმაც ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ განაგრძო ასპარეზობა.**



ამჯერად შერმადინმა თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ სტუმრად ითამაშა და ბერძენთა შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. შეხვედრა „ოლიმპიაკოსმა“ 78:77 მოიგო, ქართველი ცენტრის ანგარიშზე კი 9 ქულა, ამდენივე მოხსნა, 2 შედეგიანი პასი და 2 დაფარებაა. გიორგიმ ამის შესრულება 20 წუთში მოასწრო. შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტი 19-ს გაუტოლდა და ამ მაჩვენებლით მას მხოლოდ თანაგუნდელმა ვასილის სპანულისმა გაუსწრო (20).

„ოლიმპიაკოსს“ 2 მოგებით F ჯგუფში მეხუთე ადგილი უკავია.

**როსტომ რაჭველიშვილი**

დარბაზბურთი

# 5:5 მოლდოვასთან და მალტის იმედად

**საქართველოს დარბაზბურთის ნაკრებმა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის B შესარჩევ ჯგუფში მეორე მატჩი ჩაატარა და მოლდოვასთან 5:5 ითამაშა. თამაში დრამატული გამოდგა: ქართველები მატჩის დასრულებამდე 28 წამით ადრე აგებდნენ და დავით ბობოხიძის გოლმა გადაარჩინა ნაკრები. მან 3 გოლი მიითვალა და ამას დამატებული, ერთი საკუთარ კარშიც გაიტანა, ორი ბურთი კი არჩილ სებისკვერაძემ შეაგდო.**

როგორც იცით, სამი გუნდიდან ელიტ-რაუნდში მხოლოდ გამარჯვებული გადის. საქართველოს 4 ქულა აქვს და თამაში აღარ დარჩა. დღეს მალტა-მოლდოვა გაიმართება და მასპინძლებს უნდა ვუქომაგოთ, რათა რვაბურთიან სხვაობაზე მეტით არ წააგონ. შეგახსენებთ, საქართველომ მალტელებს 9:0 სძლია.



კარგი იქნებოდა, კუნძულელთა სუსტი გუნდის იმედზე არ დავრჩენილიყავით, მაგრამ ფაქტია, ბოლო წუთებზე ფრეც კი სანატრელი იყო.

**მანუჩარ გიორგაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ ცოცხალი საჩუქრები

# პოლიტიკოსთა პატარა მეგობრები

### ძლიერთა ამა ქვეყნისა

**შარშან რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ვენესუელის ხელმძღვანელს უგო ჩავესს შავი რუსული ტერიერის ლეკვი აჩუქა. ამ ჯიშს სხვაგვარად „სტალინის ძაღლს“ უწოდებენ, ვინაიდან ის გამოიყვანეს ხალხთა ბელადის სიცოცხლის დროს.**

სხვათა შორის, თავად სტალინს რამდენიმე ძაღლი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი, სპანიელი მილკა, დღესაც შეიძლება ნახო დარვინის სახელმწიფო მუზეუმის სათადარიგო განყოფილებაში. იმ წლების ტრადიციით, ცნობილ ადამიანთა ძაღლებს ან მათ, ვინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიაში, ფიტულებად აქცევდნენ ხოლმე. მაგალითად, ასე მოხდა ძაღლ ინგუსთან დაკავშირებით, რომელიც მსახურობდა საზღვარზე ლეგენდარულ მესაზღვრე ნიკიტა კარაცუპასთან ერთად, ვინაც 129 ჯაშუში გააუვნებლა. ინგუსის ფიტული დიდი ხნის განმავლობაში იყო წარმოდგენილი მესაზღვრეების მუზეუმში.

### დედოფლის საჩუქარი

**მილკა მუზეუმში ფიტულის სახით 1961 წელს მოხვდა, სწორედ იმ წელს, როდესაც თავად ამხანაგი სტალინი მისმა სხვა ამხანაგებმა პარტიის ხაზით გამოიტანეს მავზოლეუმიდან, მიიჩნიეს, რომ ის არ არის ღირსი, განისვენებდეს ლენინის გვერდით.**

მილკამ თავისი პატრონის შემდეგ 8 წელი იცოცხლა. ის ბელადს 70 წლის იუბილეზე აჩუქეს. „ძაღლი მას ნიდერლანდის დედოფალმა ვილჰელმინამ აჩუქა, — გვითხრა მოსკოვის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების სპანიელების სექციის ბიუროს წევრმა ანდრეი პარშევმა. — სტალინს ასაკის გამო უკვე უჭირდა სანადიროდ სიარული, და მან გარკვეული დროის შემდეგ მილკა თავის უმცროს შვილს ვასილის გადასცა. მილკას დიდი „შთამომავლობა“ დარჩა — 22 ლეკვი. მილკას ერთ-ერთი შვილიშვილი დოდონი გახდა სსრ კავშირში ცნობილი ჩემპიონი. ცნობილია ასევე, რომ სპანიელ მილკას ლეკვი, რთული გზით, ალექსეი ტოლსტოის ძმისწულის მეშვეობით, მოხვდა ცნობილი საბჭოთა დისიდენტის სინიავსკის ოჯახში, იქ იყო საყვარელი ცხოველი, თუმცა მისი ზედმეტსახელი იყო ოსკა — სტალინის შემოკლებული სახელი.

სტალინს სერიოზულად აინტერესებდა მეძაღლეობის პრობლემები. მაგალითად, ომის დროს მისი უშუალო ჩარევის წყალობით ჯიშიან ძაღლებს გამოეყოფოდა სპეციალური ულუფა, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. უფრო მეტიც, 30-იან წლებში, როდესაც სსრ კავშირში უცხოურ ვალუტას ოქროს ფასი ედო, სტალინმა გამოყო ფული ევროპაში რამდენიმე ქოფაკის შესასყიდად. ასევე სტალინის დროს „წოდება“ მოუმატეს ლაიკას — ის მიაკუთვნეს ნამდვილ სანადირო ჯიშს. ლაიკა ჩრდილოეთში ეხმარებოდა ბეწვიან ცხოველებზე ნადირობაში. ბეწვეული კი საბჭოთა ხაზინაში სერიოზული შემოსავლების წყარო იყო. თანაც სტალინი ამ ჯიშის ძაღლებს კარგად იცნობდა — არხანგელსკის გუბერნიაში თავისი გადასახადების დროს ის სანადიროდ სწორედ ლაიკით დადიოდა.

### ჯოი გადარჩა

**ის, რომ დედოფალმა სტალინს სწორედ კოკერ-სპანიელი აჩუქა, სულაც არ არის გასაკვირი. ამ ჯიშს ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდნენ უმაღლეს წრეებში. რუსეთში პირველი კოკერ-სპანიელი ჩამოიყვანეს ინგლისიდან დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის (უმცროსის), ნიკოლოზ მეორის ბიძის მცდელობით. კოკერ-სპანიელი ჯოი (ქართულად „სიხარული“) ნიკოლოზ მეორის უფლისწული ალექსის საყვარელი ძაღლი იყო. 1918 წელს ეკატერინბურგში მთელი სამეფო ოჯახის მხეცურად ამოხოცვის შემდეგ ჯოი გადარჩა. როდესაც მალე ეკატერინბურგში თეთრები მოვიდნენ, ჯოი, რომელმაც იმ დროისთვის თითქმის მთლიანად დაკარგა მხედველობა, წაიყვანა პოლკოვნიკმა პაველ როძიანკომ. მანვე მეფის ძაღლი წაიყვანა ომსკში, ბრიტანეთის სამხედრო მისიაში, სადაც ინგლისელებს გადასცა, მათ კი იგი ლონდონში წაიყვანეს და გადასცეს ინგლისის მეფე გეორგის ოჯახს. ჯოიმ სიცოცხლე უინძორში ინგლისის მეფის კარზე დაასრულა.**



სხვათა შორის, მხოლოდ სტალინი როდი ღებულობდა სამეფო საჩუქრებს. ინგლისის დედოფალმა ელისაბედ მეორემ ნიკიტა ხრუშჩოვს უბოძა თეთრი პუდელი, რის შემდეგაც ეს ჯიში მეტად პოპულარული გახდა სსრ კავშირში. თავად ხრუშჩოვმა ამერიკის პრეზიდენტის კენედის ქალიშვილს აჩუქა ლეკვი ლეგენდარული საბჭოთა ძაღლისა სტრელკასი, რომელიც კოსმოსში იყო. ლეკვს პუშინკა ერქვა. ამბობენ, რომ პუშინკა, სანამ თეთრ სახლში მოხვდებოდა, ამერიკის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ათასგზის შეამოწმეს — „ხოჭო“ ხომ არ ახლავს თანო. ოთხფეხა პრეზენტების გაცვლა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობებში საკმაოდ ინტენსიური იყო. მაგალითად, პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ლეონიდ ბრეჟნევს უბოძა შავი ლაბრადორი ზედმეტი სახელით „დრუჟოკი“.

სამამულო ხელმძღვანელების ტრადიცია — ჰყოლოდათ სახლში ოთხფეხა მეგობარი — შეწყვიტა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. მას არ უყვარდა ძაღლები.

რუსეთის დიდ პოლიტიკაში ოთხფეხები დაბრუნდნენ ვლადიმერ პუტინის დროს. პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს სახელი გაითქვა მისმა ლაბრადორის ჯიშის ძაღლმა კონიმ (სხვათა შორის, კონი სწორედ იმ შავი ლაბრადორის უცნობი თაობის შვილიშვილია, რომელიც ბრეჟნევს აჩუქეს. დედის მხრიდან კონის წინაპრებს შორის 6 ინგლისის ჩემპიონია). ლეგენდა გვეუბნება, რომ პუტინის მიერ კინოლოგიური ცენტრის დათვალიერების დროს მასთან მივიდა ლეკვი კაშკაშა სამაშველო კომბინეზონით (ძაღლს საგანგებო სიტუაციათა სამინისტროში სამსახურისთვის ამზადებდნენ) და სახელმწიფოს მეთაურის გაწვდილი ხელი ნდობით ალოკა. ასე დაიწყო მათი მეგობრობა, რომელიც 10 წელზე მეტს ითვლის. ოფიციალურად კონი პრეზიდენტს საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი შოიგუმ გადასცა.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი, რომელიც სიმპათიით ეპყრობა კატებს (პრემიერის სახლში დიდი ხანია ბინადრობს კატა კოტოფეი), კრემლში თავისი ყოფნის დროს ერთბაშად ორი ძაღლის პატრონი გახდა: ინგლისური სეტერისა და გოლდენრეტრივერისა. თანაც მედვედევის ოჯახი სეტერს რამდენიმე თვის განმავლობაში ეძებდა, ვინაიდან სვეტლანა მედვედევას სურდა, რომ ძაღლი ყოფილიყო თეთრი, თვალზე ერთადერთი შავი ლაქით. პრემიერ-მინისტრის ძაღლები ეწევიან აქტიურ ცხოვრებას, მონაწილეობენ პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენებში, იმსახურებენ უმაღლეს ადგილებს საპატიო კვარცხლბეკზე. ამ დროს ისინი მშვიდობიანად ცხოვრობენ ძველმოსახლე კოტოფეისთან.

თუ სხვა ოთხფეხა მეგობრებზე ვისაუბრებთ, პუტინის ცხოვრებაში ყველაზე ორიგინალური საჩუქარი, მისი საკუთარი აღიარებით, უსურიის ვეფხვის ლეკვი იყო, მედვედევისთვის კი — ჩრდილოეთის ირემი. სხვათა შორის, ირემი ჯერ ისევ თავის სამშობლოში რჩება — მანამ, სანამ მასთან თავად პატრონი არ ჩავა. ვეფხვის ლეკვი კი უკვე ვეფხვია და გელენჯიკის ზოოპარკში ცხოვრობს.

**მარია მარტი**

---

**რონინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან**

**ნური ვერძაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებენ ახალი ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელს რუსუდან ავალიანს და გენერალურ დირექტორს ელგუჯა გოცირიძეს მამის და სიმამრის**

**გიორგი ავალიანის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**პალიკო კინტრაია, ნუცა ჩხაიძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ახლო მეგობრებს რუსუდან ავალიანს, ელგუჯა გოცირიძეს და მათ დიდ ოჯახს მამის და სიმამრის, ღირსეული ადამიანის**

**გიორგი ავალიანის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის მთავარ ეპიდემიოლოგს ქეთევან ავალიანს გარდაეცვალა მამა**

**გიორგი ავალიანი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

◉ კრიმინალი

## ნარკოდანაშაულისთვის ისრაელის მოქალაქე დააკავეს

**შს სამინისტროს ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა , ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ნარკოდანაშაულისთვის, ისრაელის მოქალაქე, 1955 წელს დაბადებული თენგიზ ჩ. დააკავეს.**



**სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 21 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ ამოიღეს.**

**საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 260-ის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით აღიძრა, რაც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.**

**ინტერპრესი**

---

## ციხეებიდან კიდევ 527 ამნისტირებული პატიმარი გათავისუფლდა

ამის შესახებ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

მათივე ინფორმაციით, საერთო ჯამში, 24 იანვრის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები დატოვა სულ 2 910-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა.

---



## განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლის სააუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს კომერციული ბანკის „ჭიათურას“ უძრავ ქონებაზე (ყოფილი ახალგაზრდული კლუბ-კაფე, 628,0 კვ/მ მიწის ნაკვეთი და 2-სართულიანი შენობა-ნაგებობა 851,1 კვ/მ,. მდებარე ქ. ჭიათურა, ჭილლაძის ქ. №17, საკადასტრო კოდი: №38.10.35.131).

სარეალიზაციო ფასი შეადგენს 53076 (ორმოცდაცამეტიათას სამოცდათექვსმეტ) ლარს.

აუქციონი გაიმართება 2013 წლის 7 თებერვალს 15 საათზე ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. №2, საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ეროვნულ ბანკში ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2. ტელ: 599-511-382.

სააუქციონო კომისია


---

◉ ინფორმაცია

## რა საფრთხე იმალება ჩამოადვოკატებული პროკურორების მხრიდან

**სამსახურიდან გათავისუფლებული პროკურორები ადვოკატობას ითხოვენ, რაც „ადვოკატთა ასოციაციისთვის“ ცუდია, — ამის შესახებ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა.**

**მისივე თქმით, ასოციაციას არ აქვს უფლება, ძველი საქმიანობის და მრწამსის გამო უარი თქვას ყოფილ პროკურორებზე, თუმცა 10-მდე მათგანს ადვოკატის უფლებაზე სხვა მიზეზით ეთქვა უარი.**

**ხატიაშვილის ინფორმაციით, გიორგი ჩივიაშვილი, გიზო უგულავა, რომეო საჯაია, ალექსანდრე მგელაძე, ლევან ხუციშვილი, შოთა გენგაშვილი, გიორგი ონიანი და მილერი ხარებავა ყოფილი პროკურორები არიან, რომელიც ასოციაციამ კანონით დადგენილი უფლებით არ მიიღო.**



**— დაახლოებით 10 მსურველს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მათ მიერ ტესტირების ჩაბარებიდან გასული იყო შვიდი წელი. ადვოკატთა კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ ტესტირების ჩაბარებიდან გასულია შვიდი წელი. ჩვენ მათ ვთავაზობთ, ჩააბარონ გამოცდა და თუ ჩააბარებენ, გავაწევრიანებთ. გათავისუფლებული პროკურორების 90% ადვოკატთა ასოციაციაში მოდის და წევრიანდება, რაც ძალიან ცუდია ასოციაციისთვის. როდესაც პროკურორი თავისი მენტალიტეტით მოდის ადვოკატთა ასოციაციაში, მას ადვოკატის მენტალიტეტი უნდა ჰქონდეს. ყოფილ ხელისუფლებას ჰქონდა დამკვიდრებული, თუ ადამიანს გამოაგდებდნენ სამსახურიდან ან აღარ უნდოდა არსად მუშაობა, წევრიანდებოდა ადვოკატთა ასოციაციაში. ეს პრობლემა ასოციაციის წინაშე დგას და საჭიროა კანონში ცვლილებები, რომელიც ამას დაარეგულირებს, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა, რომლის განმარტებითაც, ასოციაციას არ აქვს უფლება — ძველი საქმიანობისთვის უთხრას უარი პროკურორს ადვოკატობაზე.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დღესასწაული

# ქართველთა განმანათლებელი მოციქულთა სწორი ქალწული ნინო



**27 იანვარს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს, ჩვენს წმინდა დედას, მოციქულთა თანასწორსა და ქართველთა განმანათლებელს.**

**...ცნობილია, რომ საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. სულიწმინდის მადლის მოფენის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა რგებოდა საქადაგებლად, წმინდა მარიამს ხვდა იბერია, მაგრამ, როდესაც დედა ღვთისამ დააპირა საქართველოსკენ წამოსვლა, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ განეშორები იერუსალიმს. ხდომილი ქვეყანა შენი განათლდების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“.**

ღვთისმშობელი თავის რჩეულ ერს საკუთარ მეოხმყოფობას ცხადლივ იმით მიანიშნებდა, რომ საქართველოში მეუფებას სწორედ ქალის მეშვეობით განამტკიცებდა.

ყოვლაწმინდა ღვთისმშობელმა მარიამმა გამოარჩია კეთილმორწმუნე კაბადოკიელი ასული — ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში.

ქალწულ ნინოს კეთილად აუხდა ოცნება — ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: **„გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“.** შემდეგ ვაზის ტოტების ჯვარი გადასცა მას და დასძინა: **„ეს იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ. ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისა ჩემისას, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.** ნინოს გამოეღვიძა. ხელში სწორედ ის ჯვარი იხილა, რომელიც ძილში მისცა მას ღვთისმშობელმა. ამ ჯვარმა უწინამძღვრა ქართველთა განმანათლებელს ოცნებად დასახული ქვეყნის ქრისტეს რჯულზე მოსაქცევად, მან მოაქცია დედოფალი ნანა, მირიან მეფე, მთიანეთელები... უკან დაბრუნებისას ის ავად გახდა და სოფელ ბოდბეში გარდაიცვალა. ამჯერად ნინოს ჯვარს საკათედრო ტაძრიდან გამოაბრძანებენ ხოლმე, უკვე სამების ტაძარში დააბრძანებენ, რათა უმრავლესი მრევლი ეამბოროს და თაყვანი სცეს ნინოს ჯვარს.

**გიული ლიპარტია**

კალეიდოსკოპი

# ყინვა ციფრებსა და ფაქტებში

**მინუს 89,2 გრადუსი ცელსიუსით — ყველაზე დაბალი ტემპერატურაა, რომელიც აღინუსხა დედამიწაზე 1983 წლის 7 ივლისს ანტარქტიდაში სადგურ „ვოსტოკში“.**

**მინუს 71,1 გრადუსი ცელსიუსით** — ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურაა პლანეტის საცხოვრებელ რაიონში — აღნუსხეს 1964 წელს იაკუტიაში სოფელ ოიმიაკონში (მოსახლეობა — 600 კაცია).

**მინუს 17 გრადუსი ცელსიუსით** — ასეთი ტემპერატურის დროს სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია არ იძლევა ოფიციალური შეჯიბრებების გამართვის რეკომენდაციას.

**მინუს 6 გრადუსი ცელსიუსით** — გაყინვა შეიძლება დაიწყოს ჰაერის უკვე ამ ტემპარატურის დროს.



**ცელსიუსით მინუს 20 გრადუსის ქვემოთ** შეიძლება წარმოიქმნეს სწრაფი კონტაქტური გაყინვა (ლითონის საგნებთან შეხების დროს კანი „ეწებება“ მათ).

**ის, ვისაც მრავალფენიანი ტანსაცმელი აცვია, ნაკლებად იყინება იმის გამო, რომ ჰაერის ფენები ინარჩუნებენ სითბოს.**

ყინვაში მთვრალი ადამიანის ორგანიზმი 3-ჯერ უფრო სწრაფად კარგავს სითბოს.

თუ თერმომეტრის სვეტი ეშვება მინუს 15 გრადუსზე დაბლა, სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები ქუჩაში არ ტარდება.

ცივ ამინდში ფიზიკურმა დატვირთვებმა შეიძლება გულ-სისხლძარღვთა პრობლემებთან მიიყვანოს ჯანმრთელი ადამიანებიც კი.

**1401,1011 და 1620 წლებში ისეთი ყინვები იყო, რომ შავი ზღვა მთლიანად იყინებოდა.**

**მინუს 70 გრადუსამდე** — ასეთი ყინვა სუსტი ქარის დროს შეიძლება გადაიტანოს ადამიანმა, თუ მას ზამთრის ტანსაცმელი აცვია.

მშიერი ადამიანი ყინვაში უფრო სწრაფად იყინება. წლის ცივ პერიოდში უნდა მივირთვათ ხორცი, თევზი, ცხიმები, კარაქი. ეს პროდუქტები კალორიულია და ნელა გადამუშავდება.

**მწეველ ადამიანებს, რომლებიც ჩრდილოეთის ქვეყნებში ცხოვრობენ, ფილტვების დაავადებანი უჩნდებათ 10-15 წლით ადრე, ვიდრე მათ, ვინც თბილ ქვეყნებში ცხოვრობენ.**

ანეკდოტები

**— დღეს სკოლაში დირექტორმა მკითხა, მართლა დედისერთა ხარო? — ეუბნება პირველკლასელი მიხო დედას.**

**— დედისერთა ხარ, დედა გენაცვალოს! შენ რა უთხარი?**

**— მეც ეს ვუთხარი და, დირექტორმა, მადლობა ღმერთსო!**

* * *

**— რად უნდა დავითხარო თვალები კითხვით, სკოლაში მიღებული ცოდნა ცხოვრებაში მაინც არაფრად არ გამომადგება! — აგდებულად ეუბნება მიხო მასწავლებელს.**



**— მამაშენიც ასე ფიქრობდა და ამიტომაც დაახვავა შეცდომები შენს საშინაო დავალებაში.**

* * *

**თუ მორგში გაგეღვიძა, ეს ბედნიერებაა.**

* * *

**თუ მკვლელს მოკლავ, ამით მკვლელთა რაოდენობა არ შემცირდება.**

* * *

**თუ გოგო სახლში თევზების დასაპურებლად მიიპატიჟეთ, აკვარიუმი კი არასოდეს არ გქონიათ, შპროტის ქილა მაინც გაუხსენით. საკმარისია მასში პურის ნამცეცები ჩაყაროთ, რომ, როგორც წესი, გოგოები იწყებენ მიხვედრას, რისთვისაც მიიპატიჟეს ისინი.**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ჩოხატაურში ყველისა და ხილის გადამამუშავებელი ქარხნები აშენდება

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ჩოხატაურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ჭკუასელი გამგებლის მოადგილეებზე ზეწოლას ახორციელებს და მათ თანამდებობების დატოვებას აიძულებს.

— სიცრუეა, — ამბობს თემურ ჭკუასელი, — პირიქით, ჩვენ მშვიდად შევთანხმდით, რომ რაიონის განვითარებაზე ერთად გვეზრუნა, უკვე დავიწყეთ მოლაპარაკება ფრანგულ ფირმასთან, რომელიც, ძირითადად, ჰიბრიდული ჯიშების გამოყვანაზე მუშაობს. ისინი მზად არიან, ჩოხატაურში ააშენონ ხილის გადამმუშავებელი ქარხანა, რომელიც სიმინდსაც ჩაიბარებს. მიმდინარეობს ყველის ქარხნის მშენებლობაც, რომელიც მთლიანად დასავლეთ საქართველოზე იმუშავებს. მშენებლობები წელს დასრულდება.

**„ვერსია“**

### „კულტურული რევოლუცია“

კულტურის სფეროში დიდი გადატრიალება მიმდინარეობს — ერთმანეთის მიყოლებით თანამდებობები დატოვეს რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ და ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა დავით საყვარელიძემ. ჩიქობავასთან ერთად თეატრიდან წავიდა მისი მოადგილე მარინა საღარაძეც. კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას განცხადებით, ვერ მოხერხდა ზაალ ჩიქობავასა და რობერტ სტურუას ერთად მუშაობა და ეს გახდა სწორედ მიზეზი მისი თანამდებობიდან წასვლისა. მინისტრის განცხადებითვე თეატრის მმართველად სტურუა დაინიშნება.

**„რეზონანსი“**

### „ქართულ ოცნებაში“ შიდა დაპირისპირება ქვეყანაზე ცუდად იმოქმედებს“

— მიაჩნია ჯონდი ბაღათურიას, — სახელმწიფოსთვის არ იქნება სასარგებლო შიდა სამთავრობო დაპირისპირებები და პარტიებს შორის ძალაუფლების გაზრდისთვის ნაადრევად დაწყებული კონკურენცია, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ნაციონალების კრიმინალური ბანდა ძალაუფლებას ბოლომდე ჩამოშორებული არ არის. სააკაშვილს არა აქვს უკან დაბრუნების რესურსი, მარამ აქვს საქმის გაფუჭების რესურსი და ამის გაკეთებას ცდილობს კიდევაც. ამ ფონზე ახალი ხელისუფლების დაშლა ქვეყნისთვის საგანგაშო იქნება, — ფიქრობს ბაღათურია.

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com